# საქართველო

წელიწადი მეხუთე — ხუთშაბათი, 3 ივლისი 1919 წ. № 137 — ფასი 3 მან.

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება 180 მან. თვეში (მხოლოდ ქალაქში, 60 მან. ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა— 2 მ. 50 კ. ხისია განცხადებები 3 მ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 60 მ. მისამართის გამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი, ტფილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი: — ტფილისი „საქართველო".

ტელეფონი № 15—73



ღრმად დამწუხრებული მეუღლე ნინა შვილებით, დედა კეკე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი და საყვარელი პირველისა მეუღლე მეორეთა მამა და უკანასკნელისა სიძე

**ლადო ბახუტაშვილი**

პანაშვიდები ყოველ დღე 6 საათზე, არარატის ქ 2. დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს პეტრე პავლეს სასაფლაოზე, წირვა და პანაშვიდი წმ. მარინეს ეკლესიაში. 2—2492—1

**ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის**

ტფილისის ორგანიზაციის

**მესამე უბნის წევრთა კრება**

დანიშნულია დღეს, ხუთშაბათს. 3 ივლისს, საღამოს 6 საათზედ, მეორე ქართული კლუბის ბინაზედ (მიხეილის პროსპექტი, № 131).

დღიური წესრიგი: კონფერენციაზე დელეგატების არჩევა და სხვა საჭირო საკითხების განხილვა.

დასწრება სავალდებულოა

**ამიერ-კავკასიის ბანკი**

მეორე ჩვეულებრივი საზოგადო კრების

გაგრძელება

თანახმად ფინანსთა მინისტრის ნებართვისა დანიშნულია 1919 წელს 6 ივლისს, დილის 10 საათზე ბანკის ბინაზე (ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ. № 5).

შემდეგი საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც ვერ გაირჩნენ 22 ივნისის კრებაზე:

1. ბანკის წესდების § 18 შეცვლა და დამატება.
2. არჩევნები გამგეობის წევრისა ნაცვლად დ. ვ. ქუთათელაძისა, რომელმაც სამსახურს თავი დაანება.

რადგან ეს კრება მეორე კრების გაგრძელებაა, ამიტომ იგი კანონიერად ჩაითვლება იმის დამოუკიდებლად, რამდენი აქცია იქნება წარმოდგენილი. 2—129—1

**მოიკითხეთ**

საუკეთესო ხარისხის

**კონიაკი**

ძმ. კაიშაურებისა

უძველესი ქარხანა

მისამართი: ელისაბედის ქ., 117, ტელ. 9—77. 12—244—8

**დაიბეჭდა და გასასყიდად გამოვიდა**

მიწის საკითხი საქართველოში

ალ. ასათიანისა

თ. 1. მიწად მფლობელობის ფორმები; 2. მიწად მფლობ. საზოგადო და კერძო საკუთრებითი; 3. სახელმწიფო საავრარო პოლიტიკა; 4. მიწად-მფლ. მასალები, სახაზინო, საუფლისწ. და ხიზნების მფლობელობა; 5. კერძო მიწად მფლობელობა; 6. კერძო მიწად-მფლ. რაოდენობა და მიწის ფონდი; 7. მეურნეობის პირობები; 8. სოციალისტური პარტიების საავრარო პოლიტიკა; 9; მეურნეობის დიფერენციაცია; 10. მიწის საკითხი ევროპის სახელმწიფოებში. 11. რევოლიუციური საავრარო პოლიტიკა; 12. ბოლშევიკობა. წიგნის მიღება შეიძლება გაზეთ „საქართველოს" კანტორაში და ყველა წიგნის მაღაზიებში. 10—ყ—2

**ქართული კლუბი**

6 ივლისს

**დიდი სეირნობა-საღამო**

გაზეთ „საქართველოს" ფონდის გასამდიდრებლად.

საღამოს გამგე ნ. ე. წერეთლისა. 1—1

**ახალი ს ტალახებზედ**

(სადგური გურჯაანი, კახეთის რკ. გზ.

ექიმი

**ა. ი. ბალარჯიშვილი**

5 ივლისიდან სეზონის განმავლობაში.

კოტეჯი. სახლი დათიკო ბიშნიაშვილისა. 2—2494—1

კვირას, ივლისის 6-ს ქართულ კლუბის საზაფხულო შენობაში დანიშნულია

**ქართულ სამუსიკო საზოგადოების**

წლიური კრების გაგრძელება. კრების საგანია მეტად მნიშვნელოვანი საკითხები: წესდების შეცვლა, გამგეობის არჩევნები და სხვა. ამიტომ საჭიროა ყველა წევრების აუცილებლად დასწრება.

კრება კანონიერად ჩაითვლება მიუხედავად დამსწრეთა რიცხვისა. (2—130—1)


## სამხედრო მზადებისათვის

მტრის ყოველი გამოლაშქრებისას, დამფრთხებული კრების საგანგებო სხდომა გაიმართება, მთავრობა მოხსენებით გამოდის, ფრაქციის წარმომადგენლები კიდევ თავ-თავიანთ სიტყვებით და მორჩა და გათავდა. ასეთი სიტყვის ღვინის შემდეგ დგება უმოქმედობა და სასწრაფო მოვალეობის მივიწყება. ამ ჩვეულებას ხელს ის გარემოებაც უწყობს, რომ დღემდე ჯიუტი და ძლიერი მტერი არ მოგვდგომია თავისი ჯოჯოხეთური გარდაუწყვეტლობით, ხოლო ვისაც სუსტი რწმენით და მოუწყობი ძალით შემოუტევია, ის ადვილად დაგვიმარცხებია. გამძლე წინააღმდეგობისა და ომის საწარმოებლად საჭიროა დიდი ფსიხოლოგიური სიმწიფე, ნივთიერი მოწყობილობა, დისციპლინა და საომარი ხელოვნება. ამის მიღწევა კი განუწყვეტელ, მეთოდიურ ზრუნვასა და საქმიანობას მოითხოვს და ჩვენში სწორედ ამას არ აქვს ადგილი. ამიტომაც საშიშია წესიერი და მოქმედი იდეისთვის მებრძოლი მტრის ჯარის ჩვენზე გამოლაშქრება. და რომ ერთი ასეთი მოქმედი იდეა, რუსეთის სახით, გვებრძვის და გვემუქრება, ეს ყველასათვის ცხადი და ნათელია. ეს იდეა იაროს ადვილად არ ცაჰყურის მას ასაზრდოებს ასი მილიონი ხალხის სახელმწიფოებრივი გაზრდისა და საიმპერიო პოლიტიკის ფართო წარმოების ძალა და სურვილი. და რუსეთში ერთხელმწიფების დამდგენელი ძალა, რანაირიც გინდ იყოს სულ ერთია, ამ იდეით ალიძრება და მაქსიმალური სიმკაცრით გვექცევა. ამ ჯიუტი წუთებისთვის საჭიროა ამ თავითვე მზადება და მუშაობა. გენ. დენიკინი მხოლოდ დროებით შესდგა. მისი მომძრავებელი იდეა და ის მუქარა და ხიფათი, რომელიც ამ იდეას მოაქვს, მატულობს და იზრდება. დენიკინის ძალა თან და თან დიდდება კოლჩაკ—იუდენიჩის ძალასთან ერთად. რუსეთის სამოქალაქო ომი, რუსული საფრთხის ჩვენგან ამრიდებელი, დასასრულისკენ მიდის, რაც გინდ საშინელი სიმძაფრით არ ლივსოს მისი უკანასკნელი მოქმედება და ჩვენი კრიზისიც ამ დასასრულის მოახლოვების კვალობაზე მოიწევს და მწიფდება. საქართველოს იდეას, რუსეთის იმპერიალისტური იდეა დაეჯახება. იგივე იდეა ეჯახება კავკასიის სხვა ხალხების იდეასაც. უკვე გამორკვეულია თუ რომელია, ეს ხალხები. მთა და აზერბაიჯანი. მხოლოდ სომხეთი გადგა განზე და ორგულობს მეზობლებს. უნდა მოხდეს ამ სამი ქვეყნის იდეათა კოალიცია და ამ კოალიციის ნიადაგზე შეეწყოს სწრაფი რეალური საქმიანობა და თანამშრომლობა, სამხედრო ძლიერების შესაქმნელად. საქართველო და აზერბაიჯანი ერთმანეთს უკვე შეეკვრნენ ხელშეკრულობით. კოალიციაში შემოსაყვანია მთა და გასაშლელია მოქმედების ფართო პროგრამა. კავკასიის ამ სამი ხალხის კოალიციურ იდეის ცხოვრებაში გასატარებლად და საქმედ გარდასაქცევად საჭიროა დიდი მასშტაბის მეთოდი და მტკიცე სახელმწიფო ხასიათი; საჭირონი არიან ნამდვილი სახელმწიფო კაცები და ფართო გონიერების გენერალები. ეროვნულ-ინდივიდური თავისუფლობათა ხელუხლებლობის ნიადაგზე უნდა ფართოდ მოხდეს ამ სამი ხალხის სამხედრო აქტიურ ძალთა თავმოყრა და ყველა ამ ძალის დაქვემდებარება ერთ სარდლობისა და ერთ სტრატეგიულ გეგმისთვის. ამ სამი ხალხის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ მიზანთა ერთიობა უნდა დაიცვას, სტრატეგიისა და სარდლობის ერთობამ. აი დიდი და სამანძილო სამუშაო და პერსპექტივიანი მიზანიც. თითოეულისა და საზოგადოთ მთელი კავკასიის სახელმწიფოებრივი თვითმყოფობა ამ გეგმისა და ამ თანამშრომლობის აღსრულებაზეა დამოკიდებული. ამ მუშაობის წარმოებასთან ერთად, უნდა სწრაფად გავაქანოთ ჩვენი ჯარის რიცხობრივ მაქსიმუმამდე აყვანისაკენ და აქტიურად ვაწარმოოთ მისი ნივთიერი და საომარი მასალით უზრუნველ ყოფა, რათა გამორკვევის მეტი შანსებით შევხვდეთ ოს ვუპასუხოთ ჩვენს კარზე მომდგარ გენერალ დენიკინს და უკანასკნელ ავანტიურით უსაზღვრო პრეტენზიების ჩვენს საკუთარ მიწა-წყალზე. სამწუხაროდ, საქართველოს მოქალაქეს დღეს არ აქვს შინაგანი რწმენა, რომ ამ გარემოებას სათანადო ყურადღება ჰქონდეს მიქცეული და ჩვენი მთავრობა—ჩვენი ბედის დღევანდელი ადმინისტრატორი ენერგიით და მხურვალებით ილვწოდეს ამ ასპარეზზე.

## სომხური პრესა

„მ ხატოსრ"-ის მე 130 ნომრის მეთაურში „იმათ" სათაურით სწერს:

„შაგრძლივი ალარმისტული განგაში, მენშევიკების მიერ შექმნილი ჩრდილოეთიდან მოსალოდნელ საფრთხის გამო, თავისი ბუნებრივი და აუცილებელ ბოლომდე მივიდა; რევოლუციურ მიწაბოვრის და დამოუკიდებლობის დაცვის ნიღაბის ქვეშ საქართველოს და აზერბაიჯანის ნაციონალისტურ კონტრ-რევოლიუციონერთა ელემენტებმა ხელშეკრულობა დასდეს, რომლის მიზანია ორი ქვეყნის დაბეჩავებულ ხალხის პოლიტიკური და ეკონომიური მონობა უფრო მტკიცე საფუძვლებზე დაამყარონ. რასაკვირველია, „ჰოგრომშჩიკი" ბეგები და გაკოტრებული თავადები არ უნდა გამოსულიყვნენ საბრძოლველად კონტრ-რევოლიუციონური ელემენტების წინააღმდეგ!

და როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნავს, ამის საუკეთესო დამტკიცება ის არის, რომ მენშევიკურ მთავრობის მუშათა საბჭომ—უარჰყო ბაქოს პროლეტარიატის მიერ დახმარების წინადადება. თავის თავად ცხადია, რომ დახმარებაზე შეუძლებელია ლაპარაკი იქ, სადაც ბრძოლაზე სრულებით არც კი ფიქრობენ. საჭირო იყო ერთი საბაბი, რომ თავადურ ბეგური მეგობრობა უფრო განმტკიცებულიყო. და ეს საბაბი გახდა დენიკინი.

დღე და დღე ჩვენ მოგვითხრობია ქართულ მმართველ წრეების და ქართულ პრესის ატეხილი ტირილი და წივილ-კივილი და პროვოკაცია სომხის მშრომელ ხალხის წინააღმდეგ, რომელიც თითქოს მოკავშირეა დენიკინისა და მისი კონტრ-რევოლიუციურ ელემენტებისა. თითქოს ამიერკავკასიაში რევოლუცია სწარმოებდა და ღრმავდებოდა უსუფებეგოვის დარბევით და რამიშვილის განსაკუთრებული რაზმით—ასეთი იყო საერთო შთაბეჭდილება ენის რაინდების სიტყვებისაგან.

მაგრამ აი ორი წერილი, რომლებიც ხელახლად კიდევ გვიმტკიცებენ ჩვენს თვალსაზრისს, რომ ქართველ-თათართა ხელშეკრულობა სრულებით ჩრდილოეთის წინააღმდეგ არ ყოფილა მიმართული, არამედ სულ სხვა ხასიათისაა.

კავკასიის ბრიტანეთის ძალების სარდლის გენერალ კორის წერილში, მიმართულში საქართველოს მთავრობის თავმჯდომარისადმი, რომელშიც კორი ატყობინებს დემარკაციულ ხაზზე,—გენ. დენიკინის და ამიერკავკასიელ სახელმწიფოთა შუა და სხვათა შორის, სწერს:

„ამიერ კავკასიის სახელმწიფოები უნდა ერიდნენ დენიკინის წინააღმდეგ აგრესიულ მოქმედებას და მიაწოდონ ნავთი და სხვა საჭირო მასალები...

ამ პირობის შეუსრულებლობას ის შედეგი ექნება, რომ სრულებით გამოიცვლება ბრიტანეთის კეთილი განწყობილება და მისი ოფიციალობის მთავრობა შეუძლებელად მიიჩნევს დენიკინს ამ ხაზიდან გამოსვლის ხელის შეშლას."

ამ წერილის კილო და აზრი იმდენად ღირსშესანიშნავია, რომ კომენტარის არ საჭიროებს. დენიკინის წინააღმდეგ იარაღით აღჭურვილთ მოიწვევენ დახმარების გასაწევად იმავ დენიკინისთვის...

მაგრამ ჩვენ ამის წინააღმდეგს ვხედავთ; გარეშე საქმეთა მინისტრი, რომელიც ჯერ გუშინ ცეცხლს აფრქვევდა ყველას წინააღმდეგ, დღეს შეთანხმებულა გენ. კორის წინადადებასთან და მოითხოვს მხოლოდ, რომ თვით გამორკვევა განხორციელდეს იმისთანა პირობებში, რომ უზრუნველყოფილი იყოს ის მშვიდობიანობა, რომლისკენაც მიმართულია ბრიტანიის მთავრობის მტკიცე ნება.

ყველა ამის შემდეგ იბადება ერთი საკითხი მაშ რისთვის იყო ატეხილი განგაში და ვინ არიან დემოკრატიის სახელით მოლაპარაკენი:—პოლიტიკოსები, თუ სადა არტისტები?"...

ამდენი უაზრობა ამოვწერეთ მხოლოდ იმ მიზნით, რომ ერთხელ კიდევ ცხადგვეყო სომხურ-დაშნაკცაკანური სულისკვეთება! „აშხატავორ"-ის სტრიქონებში ყველაზე საგულისხმო ის ადგილია, სადაც დაშნაკცუტიუნის ლეიბ ორგანო რისხვას უთვლის ქართველ სოციალ-დემოკრატებს მათ მიერ ბაქოს ბოლშევიკების ცნობილ წინადადების უარყოფის გამო! „აშხატავორ"-ის ლოღიკა მართლაც რომ დაშნაკურია: ბაქოს პროლეტარიატის წინადადება ხომ დენიკინთან ბრძოლას მოითხოვდა, რომლის არმიის საგრძნობი ნაწილი სომხებისაგან შესდგება და, გარდა ამისა, სომხის ოფიციალურ წარმომადგენლებმა საკმაოდ გამოაშკარავეს, რა პოზიციას დაადგება სომხეთი, უკეთუ საქართველო-აზერბაიჯანს დენიკინთან ომი მოუხდა... ყველა ამის შემდეგ „აშხატავორ"-ი ვაიმე ნიაზგას ცრემლებსა ჰღვრის ბაქოს მუშებთან შეუთანხმებლობის გამო!

არც საქართველო-აზერბაიჯანის სამხედრო ხელშეკრულება მოსწონს ხინვორების „იდეოლოგს": „სხვა შინაარსი" აღმოუჩენია გაზეთს სამხედრო კავშირის დადებაში, რადგანაც ხელშეკრულების რატიფიკაციის დროს, „აშხატავორ"-ის აზრით, დენიკინის საფრთხე აღარ არსებობდა..

მაგრამ შორეულ და ახლო წარსულის მწარე გაკვეთილებმა გვიჩვენეს, რომ საფრთხე სრულიად მოულოდნელად თავს წამოჰყოფს მხვადასხვა გარემოებაში სხვადასხვა სხრიდან და სწორედ ამ მოულოდნელობისა და მოუმზადებლობის თავიდან ასაცილებლად საჭირო შეიქმნა თავდაცვის კავშირის დადება ორ სახელმწიფოთა შორის. ამეთკენ მოიხმობდნენ მესამესაც, მაგრამ „აშხატავორ"-ის მოციქულებმა ეს არ ინდომეს...

## დამფუძნებელი კრება

1-ლ ივლისის სხდომა.

კრებას იხსნება ექვთიმე თაყაიშვილის თავმჯდომარეობით. საბოლოო ტექსტის შემდეგ განსახილველი იყო საკითხი ქალაქების მამულებისა და შენობების საზოგადო საჭიროებისთვის ჩამორთმევის შესახებ. მომხსენებლის შემდეგ ილაპარაკა გიორგი გვაზავამ.

**კანონპროექტი უძრავი ქონების იძულებით ჩამორთმევისა.**

**გ. გვაზავა** (ერ.-დემ) ბატონებო! ყოველ კონსტიტუციაში აღიარებულია პრინციპი კერძო საკუთრების ხელშეუხებლობისა. მართლაც ეხლანდელ დროში კერძო საკუთრება საფუძველია თავისუფლების და წყარო პიროვნულ შემოქმედებისა. ამიტომ ეხლანდელ სახელმწიფოს არ შეუძლიან არ აღიაროს იგი ცხოვრების უმთავრესი პრინციპად. მაგრამ ამავე დროს ხშირად სახელმწიფოს ინტერესი მოითხოვს მარტოოდენ განსაზღვრულ შემთხვევაში ამ პრინციპის ერთნაირი შეზღუდვას. წარმოდგენილი კანონპროექტი შეეხება სწორედ ამ გამონაკლისს. პრინციპი რომ შეურყეველი დარჩეს, გამონაკლისი უნდა იყოს მკაცრად განსაზღვრული; იგი უნდა შეიცავდეს ყოველ უფლებრივ გარანტიას სამართლიანობის და წესიერებისა

ამიტომ პრინციპიალურად ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ კანონპროექტისა; სახელმწიფოს, რასაკვირველია, უფლება უნდა ჰქონდეს, როდესაც ამას მოითხოვს სახელმწიფოებრივი ან საზოგადო ინტერესი, იძულებით ჩამოართვას კერძო მესაკუთრეს ქონება. მაგრამ აქ იბადება კითხვა: ვინ უნდა გადაწყვიტოს—არის თუ არა ამა თუ იმ შემთხვევაში სახელმწიფოებრივი ან საზოგადო ინტერესი? კანონპროექტით, ამ საკითხის გადამწყვეტია ან მთავრობა ან ადგილობრივი თვითმართველობა. ეს არ არის სწორი.

კერძო საკუთრება—კონსტიტუციის პრინციპია; მაში შესწორების შეტანა —კანონის გამოცვლაა, კანონის გამოცვლა კი შეიძლება მხოლოდ კანონის ძალით. ამიტომ ყოველ მთავრობის დადგენილებას ქონების ჩამორთმევის შესახებ უნდა მოსდევდეს დასტური კანონმდებელ ორგანოსი ან პარლამენტისა. ადგილობრივი თვითმართველობა წარმოადგენს, ასე თუ ისე, ადგილობრივ კანონმდებლობას და ამიტომ იმას უნდა ჰქონდეს უფლება ექსპროპრიაციისა, განსაზღვრულ ფარგალში, მაგრამ აქაც უნდა დავუმატო ერთი შესწორება: ცენტრალურ მთავრობას ნება უნდა ჰქონდეს შეაჩეროს ან უარჰყოს ყოველი ადგილობრივი თვითმართველობის დადგენილება მამულის ჩამორთმევის შესახებ თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან სახელმწიფო ინტერესებს. ამ უმაღლესი კონტროლის ნება უნდა ჰქონდეს მთავრობას.

მეორე საკითხია—წინასწარი გამოკვლევანი ამის შესახებ კანონ-პროექტში არაფერია. ინგლისში და საფრანგეთში მიღებულია წინასწარი გამოკვლევა. მართლაც, რა მოხსენება უნდა გააკეთოს მინისტრმა ან გამგეობის წევრმა, თუ არ იყო წინასწარი გამოკვლევა და არაფერი იცის აღძრული საკითხის შესახებ? ან როგორ უნდა გავიგოთ: არის თუ არა სახელმწიფო ან საზოგადო ინტერესი?—თუ განზრახული საქმე ან წარმოება არ არის გამოკვლეული, მისი მნიშვნელობა, გეგმა მისი მუშაობისა, მნიშვნელობა და ხასიათი ჩამოსართმევ ქონებისა და სხვა? მე-5 მუხლის ძალით მხოლოდ კერძო პირს ეძლევა უფლება ამ გამოკვლევისა, მაგრამ ეს სიცელქეა. კერძო პირი ყოველთვის წარმოადგენს ისეთ გამოკვლევას, რომელიც მისთვის იქნება სასარგებლო, და ამისთანა გამოკვლევის შემწეობით ძნელია ლაპარაკი სახელმწიფოს ან საზოგადოების ინტერესზე. წინასწარ გამოკვლევა უნდა ხდებოდეს სახელმწიფოს შემწეობით, და ყველა დაინტერესებულ პირთა დახმარებით, საჯაროთ. ასეა საფრანგეთში, ასეა ინგლისში და ჩვენც არა დაგვიშავდება რა, თუ ამ სახელმწიფოებს მივბაძავთ.

მესამე კითხვა შეეხება საფასურის რაოდენობას და ზარალის ანაზღაურებას. აქ უნდა იყოს გატარებული ერთი და იგივე მეთოდი, როგორც მთავრობისა, ისე კერძო პირებისათვის. ამიტომ ყოვლად მიუღებელია ამ საფასურის განსაზღვრა იმ შეფასების რაოდენობით, რომლის მიხედვით გაწერილია საქალაქო და საერობო გადასახადი. კანონპროექტი შეეხება არა მარტო უძრავ ქონების ჩამორთმევას, არამედ აგრეთვე მისი დროებით დაჭერას და სარგებლობაში მონაწილეობის დაწესებასაც. აქ საჭიროა ყველგან ერთი პრინციპის დადება: მესაკუთრეს უნდა მიეცეს სამართლიანი საფასური. ვინ უნდა განსაზღვროს რაოდენობა ამ საფასურისა? საფრანგეთში ამისათვის არსებობს ერთნაირი სამართალი, რომლის გადაწყვეტილება შეიძლება განასაჩივროს მხოლოდ საკასაციო წესით; გერმანიაში ახდენდნენ განსაკუთრებულ ექსპერტიზას, რომელიც შეიძლება გადატანილ იქნას სასამართლოში საზოგადო წესით. წარმოდგენილ კანონ-პროექტში. ეს მომენტიც არეულია. მთავრობას და თვითმმართველობებს ეძლევათ უპირატესობა: მათ შეუძლიათ თვითონ გადაწყვიტონ (მესაკუთრის დაუკითხავად!) საფასურის რაოდენობა; მესაკუთრეს უფლება ეძლევა მიჰმართოს სასამართლოს, თუ კმაყოფილი არ დარჩა, და მოითხოვოს ზედმეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უკანასკნელი ცნობები

ფოთში, მკათათვის 1-ს იტალიელთა პირველი ნაღმოსანი მოვიდა.

კლემანსომ გერმანიის დელეგატებს აცნობა რომ გერმანიის ბლოკადა მხოლოდ მაშინ მოიხსნება როცა საზავო ხელშეკრულებას დაამტკიცებენ.

ზავზე ხელის მოწერის გამო ბერლინში ზოგიერთი გაზეთები შავი არშიით გამოვიდა.

გამოქვეყნდა კანონი რომლის ძალითაც შვეციაში ცხრა სამინისტრო არსდება.

მთაშაველები სერბიელებს აუჯანყდნენ.

მოხალისეებმა ეკატერინოსლავი აიღეს.

შვეციამ ალანდიის კუნძულები მოითხოვა.

ჩრდილოეთით საბჭოთა ჯარი წინ მიიწევს ხოლო სამხრეთით კი იხევს.

უკრაინაში მუშათა საერთო მობილიზაციის კანონი მიიღეს.

---

ასეთი წესრიგი მიუღებელია. საფასურის და ზარალის რაოდენობის გადაწყვეტა ცალმხრივ, პატრონის დაუკითხავად, წიმ დაწესებულებისაგან, რომელშიაც ზარალი მოგაყენა, აშკარა დარღვევაა უბრალო სამოქალაქო უფლებისა. ამიტომ ამ საკითხის გადაწყვეტა უნდა გადაეცეს მხოლოდ სასამართლოს, როგორც ეს გატარებულია კანონპროექტში იმ საქმეთა შესახებ, რომელსაც კერძო პირი ან ამხანაგობა აწარმოებს. საზოგადოდ სასამართლოს ვრცელი ადგილი უჭირავს კანონპროექტში და ეს უნდა ჩაითვალოს მისი დადებითი მხარედ. საჭიროა მხოლოდ მისი როლი გაფართოებულ იქმნას და ერთნაირად შეეხებოდეს როგორც პირებს ისე მთავრობის და თვითმართველობათ. ეს იქნება გარანტია სამართლიანობისა და თვით ექსპროპრიაციისაც მიეცემა უფლებრივი ხასიათი. უნდა შეზღუდულ იქმნეს ამ სფეროში ყოველი თვითნებობა, როგორც მთავრობის, ისე მისი მოხელეებისა.

ამ მოსაზრებათა გამო ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით კანონპროექტს, როგორც პირველ ნაბიჯს კერძო საკუთრების პრინციპის განმტკიცებისას და ამ სფეროში წესიერების დამყარებისას. ვთხოულობთ მხოლოდ რომ: ა) უძრავი ქონების ჩამორთმევა, ჰხდებოდეს პარლამენტის დასტურით, ბ) თვითმართველობათა მოქმედება დაექვემდებაროს მთავრობის კონტროლს, გ) სავალდებულო იყოს წინასწარი გამოკვლევა საკითხისა და დ) საფასურის რაოდენობის განსაზღვრა ჰხდებოდეს სასამართლოს წესით.

## ქრონიკა

→ **ინგლისური საქონლის შემოტანა.** ინგლისური სახელგანთქმული ფირმა „ვილიამ ჯაკობს და ამხ.“, რომელმაც თავისი მუშაობა ნოვოროსიისკში კიდეც დაიწყო, ეხლა თავის განყოფილებასა ხსნის თბილისში. მისი მიზანია მოაწყოს საქონლის გაცვლა-გამოცვლა ამიერ-კავკასიის სახელმწიფოებთან საერთოდ და კერძოდ საქართველოსთან.

→ **მევენახეთა საზოგადოების წარმომადგენელნი მთავრობის თავმჯდომარესთან.** ამ დღეებში მთავრობის თავმჯდომარესა და მიწათ.მოქმედების მინისტრს კახელ მევენახეთა საზოგადოების წარმომადგენელნი წარუდგნენ და გადასცეს პროგრამა საქართ. მევენახეთა და მეღვინეთა მომავალ კონგრესისა.

→ **იტალიელთა ნაღმოსანი.** როგორც ფოთიდან გვატყობინებენ გუშინწინ ფოთში პირველად შემოსულა იტალიელთა ნაღმოსანი.

→ **სენატის დებულება.** დამფუძნებელ კრების საკონსტიტუციო კომისიაში შევიდა საქართველოს სენატის დებულება. კომისია უკვე შეუდგა დებულების განხილვას.

→ **საერობო არჩევნები ბორჩალოს მაზრაში.** საერობო არჩევნები ბორჩალოს მაზრაში უკვე დასრულდა მთელ მაზრაში არჩევნებში მონაწილეობას ღებულობდენ სოც.-დემოკ. და ადგილობრივ კოლონისტთა ჯგუფებ. არჩეულ იქმნა მთელ მაზრაში 25 ხმოსანი საიდანაც უმრავლესობა სოც.-დემოკრ.

→ **სადილი სოფლიდან ჩამოსულ მასწავლებელთათვის.** თბილისის სამაზრო ერობის გამგეობამ თხოვნით მიმართა სახ. უნივერ. სტუდენტთა სასადილოს გამგეობას დაუთმონ სოფლიდან კურსებზე ჩამოსულ მასწავლებლებს სადილი სტუდენტების ფასებში. გამგეობამ დააკმაყოფილა მათი თხოვნა.

→ **იუმორისტიული ოპერა ბალეტი** პარასკევს 4 ივლისს სახელმწიფო თეატრში ქართველ საოპერო მომღერალთა დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ ენაზე „ვანო წამებული“ იუმორისტიული ოპერა მოზაიკა ორ მოქმედებად გადმოკეთებული „ივანოვ პავლიიდგან“ დორეპატელის მიერ. მესამე მოქმედებად გაიმართება პერინის სკოლის ბალეტი

### გამომცემლობის გარშემო

→ **ვოლნას დახურვა.** შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით დახურეს ბოლშევიკების გაზეთი „ვოლნა“, რომლის მაგივრადაც ამ დღეებში გამოვა ახალი გაზეთი „მუშა“ (რაბოჩი).

→ **ქარ. გამომცემელ ამხანაგობის სტამბის განცხადება.** ქართველ გამომცემელთა ამხანაგობის სტამბის გამგეობამ წერილობით განაცხადა ბეჭდვითი საქმის პროფესიანალურ კავშირში რომ მათ არ შეუძლიათ ასოთამწყობთ მოუმატონ 75 პრ. და ამიტომ სტამბას ხურავენ კავშირის თხოვნით ისინი მუშაობას განაგრძობენ სანამ მათ განცხადებას კავშირი განიხილავდეს.

→ **კაზლოვის სტამბის ლიკვიდაცია.** კაზლოვის სტამბა მუშათა მიუღებელ მოთხოვნილების გამო დაიხურა. უმუშევრად დარჩა 21 ასოთამწყობი.

→ **სამხ. სამინისტროს სტამბა.** სამხედრო სამინისტროს სტამბის გამგეობა პროფესიონალურ კავშირის მიერ მიუღებელ მოთხოვნილების წაყენების გამო ახდენს შტატის შემოკლებას. გუშინ დაითხოვეს 11 ასოთ ამწყობი.

### სხვა და სხვა ამბები.

→ **თავდასხმა.** ნავთლუღის ქუჩაზე მცხოვრებ მ. მარკოზიანცმა მილიციაში განაცხადა, რომ 30 ივნისს დღის 3 საათზე შეიჭრნენ მის ბინაზე 3 შეიარაღებული პირნი და სიკვდილის მუქარით წაართვეს 1200 მან. მილიციამ დაიჭირა ერთი მძარცველთაგანი კარაპეტოვი, დამნაშაობაში გამოტყდა.

→ **ქურდობა.** გრიბოედოვის ქუჩაზე მცხოვრებ მ. შამთაჯიანმა მილიციაში განაცხადა, რომ 24 ივლისს ღამეს მის სავაჭროდან მოიპარეს 6,000 მან. მატერია.

→ **ლტოლვილების გაგზავნა.** სომხეთის გზათა მინისტრის ამხანაგი, სომეხ. მზრუნველობის სამინისტროს წარმომადგენელს (საქართველოში) დეპეშით ატყობინებს, რომ გზა გახსნილია და შესაძლებელია ლტოლვილების სამშობლოში დაბრუნების განახლება. გუშინ თბილისიდან ყარსისაკენ გაიგზავნა 2500 სომეხი ლტოლვილი.

### კრებები

→ **დამოუკ. კავშირის საგანგებო საზოგადო კრება.** ხუთშაბათს. 3 ივლისს, საღამოს 7 საათზედ, თბილისის საადგილ-მამულო ბანკის შენობაში დანიშნულია დამოუკიდებელთა (უპარტიოთა) კავშირის საგანგებო საზოგადო კრება.

## პარტიული ცხოვრება

### კონფერენცია.

**როგორც გამოცხადებული გვქონდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მესამე კონფერენცია რომელიც თიბათვის 21-ს იყო დანიშნული გაიხსნება შაბათს, მკათათვის 5-ს.**

**მესამე უბნის კრება.**

დღეს, ხუთშაბათს, 3 მკათათვეს, საღამოს 6 საათზე, მეორე ქართული კლუბის ბინაზედ (მიხეილის პროსპექტი, № 131) დანიშნულია ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის თბილისის ორგანიზაციის მესამე უბნის წევრთა კრება. დღიური წესრიგი: კონფერენციაზე დელეგაციის არჩევა და სხვა საკითხების განხილვა. დასწრება სავალდებულოა.

**პირველი უბნის კრება.**

ხვალ პარასკევს, მკათათვის 3-ს საღამოს 6 საათზე ვერის საქალაქო სასწავლებელში (ოლღას ქ. № 52, მაჩაბლის სახლი) დანიშნულია ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პირველი უბანში მცხოვრებ წევრთა კრება, კონფერენციისათვის დელეგატების ასარჩევად.

## ახალი კაბინეტი გერმანიაში

როსტოვის გაზეთ „ჟიზნი“ თიბათვის 27 ს თარიღით შემდეგს იტყობინება:

სულ ახლო წარსულში შემდგარი ბაუერის კაბინეტი ისევ გადადგა.

ახალი კაბინეტი შეადგინა მემარჯვენე სოციალ-დემოკრატმა დავიდმა, ერცბერგისა და ბენსდორფის მეთაურობით (დამოუკ. ლიბერალი, ამერიკაში ელჩად ნამყოფი).

ეკატერინოდარის გაზეთ „ვოლნაია კუბან“ იმავე თარიღის გაზეთში ახალ მინისტრთა სიაც აქვს მოთავსებული.

ცნობა ახალ კაბინეტის შესახებ მიღებული აქვთ ლიონიდან მოსულ რადიოს საშუალებით.

„ვიმარიდან მოსულ ცნობის თანახმად ახალ კაბინეთში შევიდნენ თავმჯდომარედ დავიდი, ფინანსთა მინ.—დარიბურგი; იუსტიციის—ზანდერჰეიმერი; შინაგან საქმეთა—პრეისი; სასურსათო მინისტრი—შმიდტი; სახალხო მეურნეობის -ვისელი; სახალხო შრომის—ბაუერი; საგარეო საქმეთა—ბერნსდორფი; ახალშენებისა—ბილლი; სახალხო თავდაცვისა—ნოსკე; ფოსტატელეგრაფის—გლიბერტსი და უპორტფელო მინისტრად ჰერცბერგერი.

## სომხეთში

**ნუხიბა და არეშის სომეხთა სომხეთში გადმოსახლება.**

თბილისიდან ერევანში ჩავიდა დელეგაცია მწერალ პაპაზიანის მეთაურობით. დელეგაციის ჩასვლის მიზანია მოელაპარაკოს მთავრობას ნუხის და არეშის სომეხთა კავშირების სახელით.

**ბრაიანი და ვილსონი სომხეთზე.**

ამერიკული სომხური გაზეთი „აირენიკ“-ში დაბეჭდილია შტატების ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრის ბრაიანის ვილსონისადმი მიმართვა:

„პრ. ვილსონო!.. ვიცი რა, რომ თქვენ დიდ ყურადღებით ეპყრობით სომხეთის საკითხს, მე როგორც ერთი წევრი „სომხეთის განმათავისუფლებელ ამერიკულ კომიტეტისა“ ვსარგებლობ შემთხვევით და სომხეთის შესახებ მოგმართავ.

ჩვენამდე მოდის დიდათ სამწუხარო ხმები, რომ ვითომც კილიკია არ შევა მომავალ სომხეთის სახელმწიფოში.

ცხადია რომ საკითხის ასე გადაწყვეტა სომხეთს უფრო ცუდ მდგომარეობაში ჩააგდებდა ვიდრე 1914 წ. სერბია იყო, რასაც უფრო გააძლიერებს ის გარემოება, რომ სომხეთის გარშემო თითქმის სულ ყველა არა ქრისტიანი სახელმწიფოებია

ვინც გაითვალისწინებს იმ საშინელ დევნა წამებას რასაც სომხეთი განიცდიდა, მისთვის ძნელი წარმოსადგენია რომ სიმართლისთვის ვერსალში შეკრებილი სახელმწიფოები სომხეთს კიდევ ერთს უსამართლობის აქტს ჩაიდენენ სომხეთის წინააღმდეგ.

ამაზე ვილსონმა პარიზიდან უპასუხა:

თქვენი დეპეშა მივიღე. დარწმუნებული იყავით, რომ სომხეთი მე ისევე მაინტერესებს როგორც თქვენ. ვუდრო ვილსონი.“

**ახალი კაბინეტი სომხეთში.**

როგორც ამას წინად გვქონდა აღნიშნული სომხეთის კაბინეთი შეიცვალა, ისე, რომ პიროვნული შემადგენლობა არ შეიცვალა. გამოაკლდნენ სახალხო პარტიის მინისტრები და მათი პოროგველები დაშნაკცაკანმა მინისტრებმა გაინაწილეს. მინისტრთა უკანასკნელ სხდომაზე ხატისოვმა მთავრობიდგან გასულ მინისტრებს მიჰმართა სიტყვით რომელშიაც აღნიშნა, რომ სახელმწიფოთ ცხოვრებაში რაიმე კონიუნქტურის ჰქმნის კოალიციას, რაწამს კონიუნქტურა იცვლება მაშინვე კოალიციაც იშლება.

დღეს დაშლილმა კოალიციამ არ უნდა იქონიოს გავლენა ჩვენ საერთო მუშაობაზე. საერთო მუშაობა ეხლა მით უფრო საჭიროა როცა ეს ასე სჭირდება სომხეთს. ბოლოს სიტყვა დაასრულა შემდეგი სიტყვებით „ფრანგული თქმით მაღალი იდეიები ხალხსა ჰყოფს, ხოლო უმდლიერესი კი აერთებსო“

მინისტრებმა განაცხადეს, რომ ჩვენ დიპლომატიურ თანამდებობას არ დავიჭერთ და რაც შეეხება საერთო მუშაობას კი გავწევთო.

## აზერბაიჯანი

**საქართველოს დელეგაცია ბაქოში.**

80 თიბათვეს თბილისიდან ბაქოში ჩავიდა საქართველოს დელეგაცია ბ. ნოე რამიშვილის მეთაურობით, საქართველო-აზერბაიჯანს შორის დადებულ ხელშეკრულების ინიციატივისთვის და ამ ხელშეკრულების დეტალების შესამუშავებლად ბ-ნ რამიშვილის დელეგაციაში იმყოფებიან ბენ. ოდიშელიძე და დამფუძნებელ კრების წევრი ალექსანდრე ასათიანი. სადგურზედ საქართველოს დელეგაციას შეხვდნენ აზერბეიჯანის მინისტრი მელიქ ასლანოვი, ქალაქის უფროსი ვეხიროვი საპატიო დანაჯერთა საქართველოს საელჩოს სრული შემადგენლობისა ბ-ნ. ნ. ქარცივაძის მეთაურობით.

სადგურიდან დელეგაციის წევრები გაემართენ საქართველოს ოლქის მოადგილის ექიმ გ. ნ. ალშიბაიას ბინაზედ.

**დამატებითი მობილიზაცია.**

ბაქოს სამაზრო ჯარის მომერებმა საბჭომ ახალი დამატებითი მობილიზაცია გამოაცხადა გაწვეულნი არიან 1894, 1885, 1896, 1897, 1898, 1899 წლებში დაბადებული მაჰმადიანნი.

აგრეთვე ცხადდება რომ ეს მეორედ არის მობილიზაცია და ვინც ამის შემდეგ თავის დროზე არ გამოცხადდება,, ასეთი ხალხი ჩაითვლება დეზერტირად და მათი მშობლები და მზრუნველნი მის ბოროტ მოქმედებაში მონაწილედ.

**საქონლის გაცვლა ყუბანთან.**

ვაჭრობა მრეწველობის მინისტრის მოხსენებით ყუბანთან საქონლის გაცვლის საქმე მიენდოს კერძო ინიციატივას და მთავრობის ორგანოებმა მხოლოდ კონტროლისა და საჭირო პირობების შექმნა უნდა იკისრონ.

**აზერბაიჯნის საზავო დელეგაციის გამგზავრება.**

რომიდგან, მაისის 5 ის თარიღით აზერბაიჯნის დელეგაციის თავმჯდომარის თოფჩიაშვილისაგან აზერბაიჯნის მთავრობამ მიიღო წერილი, რაშიაც იგი სწერს დელეგაციის სტამბოლიდან გამგზავრებას. აპრილის 22 დელეგაცია იტალიის გემით გაემგზავრა სალონიკ, ათინა, მესინაზე ნეაპოლში, სადაც ჩავიდა აპრილის 30-ს მაისის 2-ს დელეგატები რომში იყვნენ, საიდანაც მაისის 4-ს პარიზში გაემგზავრნენ. გზიდან ისინი დიდ სალამს უძღვნიდნენ აზერბაიჯანს და იმედს გამოსთქვამენ, რომ დაბრუნებისას ჩამოუტანენ სასიხარულო ამბავს ევროპის მიერ აზერბაიჯნის აღიარების შესახებ

**პოლკ. ბრაუნის დაბრუნება.**

თიბათვის 30-ს კისლოვოდსკ პეტროვსკიდან ბაქოში ჩამოვიდა ბრიტანეთის საზღვაო ტრანსპორტის უფროსი პოლკ. ბრაუნი.

**ნ. რამიშვილის ჩასვლა**

ორშაბათს, თიბათვის 30-ს თბილისიდან ბაქოში ჩავიდა შინაგან საქმეთა სახალხო განათლების და სამხედრო მინისტრი ნ. რამიშვილი. რამიშვილს დღესასწაულებრივი დახვედრა გაუმართეს.

**ამიერ კავკასიის უნივერსიტეტი**

ამიერ კავკასიის კერძო უნივერსიტეტის მზრუნველმა საბჭომ დაადგინა მომავალ სამოსწავლო წლიდან ისტორიკ-ფილოლოგიური ფაკულტეტი და ყველა კურსები გარდა სამკურნალოსი. ამ რიგად ამიერ კავკასიის უნივერსიტეტში იქნება მხოლოდ ორი ფაკულტეტი საბუნებისმეტყველო და სამკურნალოს პირველი კურსი.

## უცხოეთის ამბები

### ჟურნალ-გაზეთებიდან.

**დენიკინის ახალი გუბერნატორები.**

„უტრო იუგაში“ დაბეჭდილია ცნობა, რომ სალტიკოვი ინიშნება ვორონეჟის, ბაგდანოვიჩი ხარკოვის და ტველენიკოვი შავი ზღვის პირის გუბერნატორად, ხოლო უკანასკნელს გარდა ზემო ხსენებულ თანამდებობისა ეკისრება მთავარ სარდლობაც.

„პრიაზოვსკი კრაი“ იტყობინება რომ ასტრახანის გუბერნატორად კრიშტაროვიჩი დაინიშნაო.

**დ ა მ ა ს კ შ ი.**

ქ. დამასკოს სამხედრო გენერალ-გუბერნატორმა ბრძანება გამოსცა, რაშიაც ამბობს, რომ სომეხთა, სამშობლოში მოსალოდნელ გადასახლების გამო ყველა სახლის პატრონებმა პოლიციას აცნობონ ამ სომეხ-ხიზანთა ვინაობა და არავინ არ გაბედოს მათი დაფარვა; ვინც სამშობლოში წამსვლელ სომხებს ძალით არ გაუშვებს, სასტიკად დაისჯებაო.

**კოლჩაკის მთავრობაში.**

ეკატერინოდარიდან მოსული ცნობებით კოლჩაკის მთავრობაში კიდევ შემდეგი ცვლილება მოხდა: მინისტრთა საბჭოს მდივანმა ტელბერგმა მიიღო სახალხო განათლების მინისტრის პორთფელი იუსტიციის მინისტრად დაინიშნა სტრინკევიჩი, ვაჭრობა მრეწველობის მინისტრად დროებით ისევ შჩუკინი დარჩა. მთავრობის შეცვლას აზრადა აქვს მთავრობაში ერთი მიმართულების შექმნა.

**მოხალისეთა დელეგაცია.**

მოხალისეთა დელეგაცია გენ. დრაგომიროვი, ასტროვი და აროფ. სოკოლოვი თიბათვის 21-ს კონსტანტინოპოლს გაემგზავრნენ. პარიზში ჩასვლის შემდეგ ისინი შეეცდებიან ადმირალ კოლჩაკს დაუკავშირდნენ, ჰგონიათ, რომ კოლჩაკი ფრონტების გაერთიანებამდე დენიკინს „სამხრეთ რუსეთის უმაღლეს მმართველის“ ტიტულს მიანიჭებს.

## ინგლისის ჯარების უმფროსის გენ. კორის განცხადება.

თბილისში მყოფ ინგლისის ჯარის უმფროსის გენ. კორის სახელით მაიორ-კინგ-შვოცმა განუცხად შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწეს ბ. ჰიჭანაძეს, რომ ჩვენი გაზეთის № 135 მოთავსებული და შემდეგ გაზეთ „გრუზიაში“ გადაბეჭდული ცნობა ქ. გუმბრში ბანკეტზე წარმოთქმულ სიტყვის შესახებ, სიმართლეს არ შეეფერება.

მაიორ კინგ-შვოცმა ამასთანავე განაცხადა, რომ საზავო კონფერენციას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა შესახებ რომ რაიმე დადგენილება გამოეტანა უპირველესად ყოვლისა ეცოდინებოდა თბილისში მყოფ ინგლისის ჯარების უმფროსს?

## დეპეშები

(საქ. დეპეშ. სააგენტო)
მკათათვის 2-ს

### ბოლშევიკური ცნობები

**მოსკოვი ივლისის 1.ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი უკრაინის საბჭოები და დენიკინის მთავრობა**

**კიევი** ივნისის 27. ახალგაზრდა კომუნისტების ყრილობაზე რაკოვსკი შეეხო ფრონტზე დამარცხებას და სთქვა მიზეზი ჩვენს მოუწყობლობაში და სასურსათო კრიზისში უნდა ვეძიოთ. მუშათა კლასის სულიერი ეაწყობილებას გამოცვლა ეტყობა ყველა მხად არის რევოლიუციის დასაცავად წავიდეს: როდესაც თქვენ ადგილებზე წახვალთ, მოუწოდეთ ყველას, წავიდნენ ფრონტზე: „ყველაფერი მსოფლიო რევოლიუციის გადასარჩენად“ მიწის და ქიმიურ სამრეწველოების მუშათა ყრილობამ აუცილებლად აღიარა საბჭოთა მთავრობის დაცვა და დონეცის ოლქიდან დენიკინის განდევნა. ყველა გაზეთები სავსეა მოწოდებით დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლველად. უკრაინის კომუნისტ-ესერების გაზეთი სწერს: „უკრაინის პროლეტარიატი როგორც ერთი კაცი უნდა აღსდგეს რესპუბლიკის დასაცავად. წავიდეთ საბრძოლველათ გაბედულათ და გადაწყვეტით უკანასკნელ საბედისწერო ომში. ყველაფერი წითელი ჯარისთვის საბჭოთა მთავრობა საფრთხეშია.

**მცსკოვი.** ივლისის 1. მემარცხენე ესერების გაზეთი „ბორბა“ სწერს „უკრაინის სოფელმა უნდა გაიღვიძოს. ცხოვრება პური თავისუფლება მიწა და მშრომელთა უფლებები უნდა გადაარჩინოს. საბჭოთა რესპუბლიკა დიდ გასაჭირშია. უკრაინის მუშები და გლეხები სიკვდილის პირას სდგას. გადარჩენა მხოლოდ წითელ ჯარს შეუძლია. მხოლოდ იარაღი მოსპობს კონტრ-რევოლიუციის ძალას.

**დენიკინის შეტევა და უწყებები.**

**მოსკოვი** ივლისის 1 „უწყებები“ სწერს: პროლეტარიატის მთელი ძალები მიმართული უნდა იყოს ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის დაცვისაკენ. მუშებს ვერ შეაშინებს თეთრ გვარდიელების კონტრ-რევოლიუცია, რომელიც სოციალისტური სამშობლოს განადგურებას სცდილობს. დროებით გადავდოთ სახელმწიფოს აღმშენებლობა, რევოლიუცია განსაცდელშია. ყველა წითელ არმიაში, ყველა გადამწყვეტ უკანასკნელ ბრძოლაში დღეს „იზვესტიაში“ მოწინავე წერილში „ფრონტზე“ ნათქვამია: „სამხრეთიდან ჩვენ მძიმე მახვილი ჩაგვცეს. ხარკოვის არედა მეორე პროლეტარული ცენტრი—ეკატერინოსლავი დავკარგეთ. მტრის რაზმი კურსკსა და ვორონეჟს უტევს. ამით აპირებს ის მოსკოვისკენ გზის გახსნას. ისინი ვოლგის, ცარიცინის და სხ. გადაჭრას ჰფიქრობენ, რათა ხელში ჩაიგდონ საუკეთესო სათბობი მასალა და პურიანი ადგილები. ისინი მთელ უკრაინას ემუქრებიან და ყირიმის და შავი ზღვის ხელში ჩაგდებას აპირობენ. სოციალისტური რესპუბლიკა განსაცდელშია. მუშათა და გლეხთა წინააღმდეგ მოდის წყეული მტრის მემამულეები, გენერლები და მეფის ჯარები.

**მოსკოვი.** მშრომელ ხალხს ახალი მეფობა ძალდატანება წამება, სახრჩობელა დახვრეტა ემუქრება. ამ დროს მშვიდობიან მუშაობაზე ფიქრი შეუძლებელია, ყველამ აიღეთ ხელში იარაღი სოციალისტური რესპუბლიკის დასაცავად! ჩვენ განვდევნეთ კოლჩაკი, პეტროგრადთან თეთრ-გვარდიელები დავამწყვდიეთ. ჩვენ შეგვიძლიან დენიკინის ოფიცერთა რაზმების დამარცხებასაც. ამისთვის ყველაფერი გვერდზე უნდა გადავდოთ ერთი მიზნისთვის—კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლისთვის. ყველა ბრძოლისკენ, ყველა ჯარში! საბჭოთა რესპუბლიკა გაჭირვების ხანაშია. მთელი ძალა მტერთან ბრძოლისთვის.

**ბრძოლა ესტონელთა და ლატიშთა შორის.**

**ნაუენი,** ივნისის 30. ესტონელებსა და ლატიშთა შორის ბრძოლა განახლდა მას შემდეგ, რაც მოლაპარაკების საშუალებით დროებითი ზავის შეკვრა ვერ მოახერხეს ესტონელებმა ფართოდ დაიწყეს შეტევა, რის გამოც ლატიშებმა 15 კილომეტრით უკან დაიხიეს. ესტონელების წინადადებით შესწყდა მოლაპარაკება დროებითი ზავის ჩამოგდების შესახებ. რიგას საფრთხე მოელის.

**კადეტთა ყრილობა.**

**ჰელსინგფორსი.** ივნისის 30. ოკ-ში მოხდა სახალხო თავისუფლების კადეტთა პარტიის ყრილობა, რომელსაც დაესწრნენ სახელმწიფო სათათბიროს ბევრი ყოფილი წევრი და პარტიის ცენტრ. კომიტეტის წევრნი. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მომენტის უპირველესი მიზანი უნდა იყოს ის ელემენტის განადგურება, რომელმაც რუსეთში ერთი კლასის დიქტატურა შექმნა, საჭიროა ბოლშევიზმის სრული მოსპობა. მხოლოდ უნდა ვიგემხროთ კოლჩაკს, ბოლშევიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება თავისუფლების პრინციპის შემოღება და ევროპას სახელმწიფოთა დახმარებით რუსეთის აღდგენა, თანახმად პარტიის პროგრამისა და მოთხოვნილებისა.

**მოკავშირეთა მისია ჰელსინგფორსში.**

**პარიზი.** ივნისის 30. ბრიტანეთის სამხედრო მისია ჰელსინგფორსში მოშაობას შეუდგა, რაც საქმეს უკვე ცხადეტყო მოკავშირეთა სახელით მომქმედმა მისიამ თვალყური უნდა ადევნოს ბალტიის მხარეში მოკავშირეთა პოლიტიკის განხორციელებას: მთავ რი ბინა მისიას ჰელსინგფორში იქნება, ხოლო განყოფილება—ლიბავაში.

**გაფიცვა რკინის გზაზე.**

**ნაუენი.** ივნის 29. რკინისგზელთა გაფიცვამ სურსათის გადაზიდვა შეაფერხა.

**სამინისტროები შვეციაში.**

**სტოკჰოლმი.** ივნისის 30. გამოქვეყნდა ახალი კანონი რომლის ძალითაც შვეციაში იქნება 9 სამინისტრო.

**შვეციის მოთხოვნილება.**

**ჰელსინგფორსი.** ივნისის 30. შვეცია მოითხოვს, რომ ალანდიის კუნძულების მცხოვრებთ თვითგამორკვევის უფლება მიენიჭოთ. შვეციის ნოტაში ნათქვამია, რომ ამ კუნძულების მცხოვრებლებმა უკვე გამოსთქვეს შვეციასთან შეერთების სურვილი, და მოთხოვნილია, რომ ეს საკითხი საზავო კონფერენციას გადაეცეს.

**ზავის დღესასწაული პარიზში**

**ლიონი.** ივნისის 29. საფრანგეთი

ხავზე ხელის მოწერის გამო სადღესასწაულოდ ემზადება. შაბათს პარიზის მუნიციპალიტეტმა ოფიციალურად მიიღო საზავო კონფერენციის დელეგატები. გამარჯვების ოფიციალურ დღეს ივლისის 14 იდღესასწაულებს. ამ დღეს იმ ადგილებში, სადაც ჯარი გაივლის საზეიმო თაღებს აგებენ

**სერბია და რუმინეთი**

**ოდესა.** ივნისის 27. რუმინიის იმპერიალისტურმა პრესამ საზავო კონფერენციის მიერ ბანატის სერბიისთვის გადაცემის გამო განგაში ასტეხა. სერბიასა და რუმინიას შორის უთანხმოება იზრდება.

**ბოლშევიზმი ციმბირში**

**მოსკოვი.** ივნისის 29. ციმბირიდან კრონშტადტის ფრონტზე მოსული ამხანაგები გადმოგვცემენ, რომ ციმბირში ბოლშევიკური მოძრაობა ძლიერდება. პარტიზანულ რაზმების მოქმედება კოლჩაკს ზურგს არღვევს. დეზერტირებთან ბრძოლას არავითარი ნაყოფი არ მოაქვს. გლეხები და მცხოვრებნი ბოლშევიკების მხარეზე არიან. კოლჩაკს მკაცრი რეჟიმი აქვს შემოღებული, რაც მის ჯარს აიძულებს წითელი ჯარის მხარეზე გადავიდეს. 2000 კაცზე მეტი უკვე გადმოვიდა.

**შავმთიელთა აჯანყება**

**ნაუენი.** სერბიის ჯარს შავმთიელები აუჯანყდნენ. მთაშავეთის სამხრეთის მაზრებში ბრძოლაა. უკმაყოფილება მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება. მთაშავეთიდან გამოქცეულები იტალიაში მიდიან.

**ირლანდია ხელშეკრულების წინააღმდეგ.**

ამერიკის გაზეთებში დაბეჭდილია ირლანდიის სისფეინერების ლიდერის წერილი კლემანსოსადმი. წერილში ნათქვამია, რომ ირლანდიის ხალხი არ სცნობს ხელშეკრულობას და რომ ინგლისის დელეგატებს არავითარი უფლება არ ქონდათ ირლანდიის სახელით ხელი მოეწერათ ზავზე.

**დენიკინის შეტევა.**

**მოსკოვი,** ივლისის 1. „პრავდა" სწერს: „ხარკოვის შემდეგ ეკატერინოსლავი დაეცა. გენ. დენიკინი მუშებს ალრჩობს, უკრაინის პროლეტარულ ცენტრს ხელში იგდებს. საბჭოთა უკრაინის შემდეგ მეფის გენერალი და მისი ყაზახთა რაზმები საბჭოთა რუსეთისკენ გზას იკაფავს. პროლეტარიატი და გლეხები განსაცდელშია. დენიკინის ბრბო ხარკოვში და ეკატერინოსლავში მუშებს ხვრეტს. ყველა ძალები ფრონტისაკენ ქარხნებში, რკინის გზებზე და საბჭოებში იყოს მუშაობა, სოფლებში და ქალაქებში დაჭკარით განგაში: პროლეტარიატის პარტია მზად არის თავის დასაცავად მუშებო და გლეხებო, წინ საბრძოლველად! საერთო ძალით განვდევნოთ მოსისხლე მტერს; დაიღუპა ალექსეევი და კორნილოვი, თავი მოიკლა კალედინმა, კრასნოვმა და გრიშინ-ალმაზოვმა, ეხლა საქმე დენიკინზე და კოლჩაკზე მიდგა".

**ოპერატიული ცნობები**

**№-ს არმიის შტაბი.** დღეს №-ის არმიამ პერმი დაიჭირა. საბჭოთა ჯარმა კურგერი დაიჭირა.

**სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტი.** ნარკის მიმართულებით კრასნოსელოს დასავლეთით ჩვენ რამდენიმე სოფელი დავიჭირეთ.

**სამხრეთის ფრონტი.** ჩვენმა ჯარმა კონსტანოგრადი დასტოვა. ვორონეჟის რაიონში ჩვენ ბრძოლის შემდეგ სად. ლისკი დავსტოვეთ ცარიცინის რაიონში მტერმა შეგვავიწროვა, ჩვენმა ჯარმა ახალ პოზიციებისაკენ დაიხია.

**აღმოსავლეთის ფრონტი.** უფის რაიონში ჩვენ ბალთაშოვო დავიჭირეთ.

**პეტერბურგი** ივლ. 2. ბეგუნცა კოლოსოვო-კოპორის მიმართულებით ჩვენ დაახლოვებით 20 სოფელი დავიჭირეთ, ვიდლიცში ზარბაზნების გარდა ჩვენ 27 ტყვიისმფრქვეველი ჩაგვივარდა ხელში. ჩვენ ვლასკოვი დავიჭირეთ. ოლონეცის მაზრაში ჩვენ გავიმარჯვეთ და 10 ვერს წინ წავიწიეთ. ოლონეცის მაზრა თეთრ ფინებისაგან განვათავისუფლეთ და დიდი დავლა ჩავიგდეთ ხელში. მოწინააღმდეგე უკან იხევს. ჩვენი წინსვლა გრძელდება.

**№-ის არმიის შტაბი.**

სტერლიტამაკის მიმართულებით უკან დეხევის დროს თეთრგვარდიელთა საყარაულო რაზმმა მრავალი ოჯახი ამოწყვიტა იმის გამო, რომ მათი შვილები წითელ ჯარში მსახურობდნენ და მემამულეების ადგილებით სარგებლობდნენ. რაზმის ხელმძღვანელი ყოფილი მემამულეა. უფაში თეთრებმა ჩხრეკა მოახდინეს. მათ, ვისაც საბჭოთა პასპორტი აღმოაჩნდა. მდ. ბელაიში გადაყარეს.

**ტყვეთა მოძრაობა.**

**ვიტებსკი** ივნისის 30. ტყვეების მოძრაობამ ამ უკანასკნელ ხანებში ფართო ხასიათი მიიღო. ყოველ დღე 2—3 ათასი ტყვე მიდის. იუწყებიან რომ გერმანიიდან მრავალ რუს-სამხედრო ტყვეებს გზავნიან.

**უკრაინის სამხედრო ცნობა.**

**კიევი.** ივნის. 29. ჩვენმა ჯარმა სკლადნაია და რეგონტოვკ. დაიჭირა. შეტევა გრძელდება. ვერხნის სამხრეთ აღმოსავლეთით ჩვენ ჯარს კოროჩინციგლაზუნოციის გარნიკას ხაზი უჭირავს.

**მუშათა საერთო მობილიზაცია.**

**კიევი.** ივნისის 30. ც. ა. კომიტეტის სხდომაზე მიიღეს მუშათა და გლეხთა საერთო მობილიზაციის დეკრეტი და გადაწყდა ენერგიული ზომები მიიღონ ყოველგვარ ბრბოების გამოსვლების წინააღმდეგ.

**ზომები თეთრების წინააღმდეგ.**

თავდაცვის საბჭოს ნება დართეს კიევში, ოდესაში, ნიკოლაევში და ხერსონში საალყო წესები გამოაცხადოს. ანანევსკის მაზრაში ყაზახთა ატამანი დახვრიტეს. საბჭოთა ჯარმა კლიმენსკის მეთაურებით შედგენილი ბრბო დაამარცხა. ამავე მაზრაში პოლკოვნიკ პალეას ცდამ, გასულიყო ხრისტინოვკაში, მიზანს ვერ მიაღწია.

**გერმანიის ბლოკადა.**

**ლიონი.** ივნისის 1. კლემანსომ გერმანიის დელეგატებს აცნობა, რომ გერმანიის ბლოკადა მოიხსნება მაშინ, როდესაც ცნობა მოვა, რომ საზავო ხელშეკრულება დამტკიცებულია.

**ელზას-ლორენში.**

**ნაუენი** ივლისის 1. „ფორვერტსი"-ის ცნობით ელზას-ლორენში სოციალისტებს სდევნიან. სოციალ-დემოკრატების ® მოხელების კრებები ერთი ოფიცერის და ორი ჟანდარმის თვალყურის დევნით ხდება. სირენში კრება დაშალეს იმის გამო, რომ მიულჰაუზენიდან მოსულმა მომხსენებლებმა თავის მოხსენება ჯერ სამხედრო ადმინისტრაციას არ წარუდგინა რადგან კრებაზე დამსწრენი ოფიცრის აზრით საჩქაროდ არ იშლებოდნენ, გამოიწვიეს ჯარი, რომელმაც ხალხი ხიშტებით განდევნა.

## ინგლისური პრესა.

**კომისია გერმანიის ფლოტის გამოსარკვევად.**

პარიზიდან იუწყებიან, რომ ხუთშაბათს სამთა საბჭოს კომისია დაინიშნა ზარაში და კილში მდგარ გერმანიის ფლოტის მდგომარეობის გამოსარკვევად. 5 დიდი სახელმწიფოს წარმომადგენლებმა უნდა გამოარკვიოს თუ რამდენად დიდია გერმანიის დანაშაული, როგორ უნდა დაისაჯოს და რამდენი უნდა გადაახდევინონ გერმანიას.

**ვილსონის გამგზავრება.**

თუ საზავო ხელშეკრულებას შაბათს მოაწერენ ხელს. მაშინ, როგორც ამბობენ ვილსონი პარიზიდან წავა და იმავე საღამოს ამერიკაში გაემგზავრება.

**ავსტრიის ხელშეკრულება**

შაბათს ოთხთა საბჭომ განიხილა ავსტრიისთვის გადასაცემი საზაო ხელშეკრულება და აირჩია კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს თუ რა და რა კომიტეტები უნდა იქნეს არჩეული ხელშეკრულების განსახორციელებლად.

**პოლონელ უკრაინელთა ბრძოლა.**

პოლონელები და უკრაინელები განაგრძობენ ერთი ერთმანეთთან ბრძოლას

**საზავო ხელშეკრულების მოწერის დღე.**

საზავო ხელშეკრულების მოწერის დღეს ვერსალის სასახლეში „რჩეული სტუმრები" უნდა დაეშვათ და 350 ადგილი პროპორციონალურად იყო განაწილებული დელეგაციათა შორის. წარმოდგენილი იყო 5000-მდე თხოვნა, თითქმის ნახევარი ქალებისაგან, განსაკუთრებით ამერიკელ ქალებისგან, რომელნიც ომის დროს ხელმძღვანელობას უწევდნენ სხ. და სხ საქველმოქმედო დაწესებულებას შემოსვლელთა სასტიკად სინჯავდნენ, რათა არ დაეშვათ არა სასურველი პირნი და ანარქისტები. როდესაც მოწვეულთა სია უკვე შედგენილი იყო, აღმოჩნდა, რომ მასში არ იყო მოხსენებული პუანკარე, თუმცა არ მოელოდნენ, რომ ის მოსულიყო. ფოში და პეტენი იყო მოხსენებული ჟოფრი კი არა. ასეთივე ბედი ეწვიათ საფრანგეთის სახელმწიფოს მოღვაწეებს, რომელნიც საფრანგეთის სათავეში იდგნენ დიდი გაჭირვების დროს და მათ შორის ბრიანს, პენლევეს, ვივიანს და დელკასეს.

# პარტიის მესამე კონფერენცია

**გაიხსნება 5 მკათათვეს, დაიხურება 7-ს.**

სხდომები სწარმოებს დილა-საღამოობით. დილით—10-ან 2 საათამდე, საღამოთი—5-ან—9 საათამდე

## მუშაობის პროგრამა

### პირველი დღე 5 მკათათვე

**დილის სხდომა.** სხდომას გახსნის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე. მდივნობს—მთავარი კომიტეტის მდივანი.

კონფერენცია ირჩევს თვის პრეზიდიუმს: თავმჯდომარეს და მის ამხანაგებს, მდივანს და მის ამხანაგებს.

კრება ირჩევს სამანდატო კომისიას, რომელსაც ევალება საღამოს სხდომის დაწყებამდე მანდატების შემოწმება.

კრება ირჩევს სარეგლამენტო კომისიას, რომელსაც ევალება მთავარი კომიტეტის მიერ წარმოდგენილი საკონფერენციო რეგლამენტის განხილვა და თავის შენიშვნებით მისი წარმოდგენა საღამოს სხდომისათვის. კომისიების არჩევით დილის სხდომა დაიხურება. შემდეგი ინიშნება საღამოს.

**საღამოს სხდომა** სხდომას ხსნის კონფერენციის თავმჯდომარე ან მისი ერთ-ერთი ამხანაგი. მდივნობენ არჩეული მდივნები. კონფერენციას მოხსენდება:

1. მთავარი კომიტეტის განვლილი წლის მოქმედების ანგარიში. მომხსენებელია **ირ. მაჭავარიანი.**
2. პარტიული მუშაობა ადგილობრივ. მომხსენებლებია ჩამოსული დელეგატები.
3. პარტიული მდგომარეობა. მომხსენებელია **რ. ინგილო.**

### მეორე დღე 6 მკათათვე

**დილის სხდომა.** კონფერენციას მოხსენდება:

1. საპარლამენტო ფრაქციის მუშაობის ანგარიში. მომხსენებელია **გ. გვაზავა**
2. პარტიის პროგრამის გადასინჯვა: ა) პოლიტიკური ნაწილი. მომხსენებელია **გ. გვაზავა.**

ბ. ჩვენი საფინანსო და სამრეწველო პოლიტიკა—მომხსენებლებია **ნ. ნიკოლაძე და იასონ ლორთქიფანიძე.**

3. საქართველოს ეკონომიური პერსპექტივები. მომხსენებელია **ს. დანელია.**

**საღამოს სხდომა.** 1. პარტიის პროგრამის გადასინჯვა: გ) აგრარული პოლიტიკა. მომხსენებელია **ა. ახათიანი.** დ) მუშათა საკითხი. მომხსენებელია **ა. ახათიანი.**

2. საქართველოს ტერიტორია. მომხსენებელია **ექ. თაყაიშვილი.**

### მესამე დღე 7 მკათათვე

**დილის სხდომა.** 1. საქართველოს პოლიტიკური სახე. ჩვენი დოკტრინა და სინამდვილე. მომხსენებელია **სპ. კედია.**

2. საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა. მომხსენებელია **პ. სურგულაძე.**

3. თვითმართველობები. მომხსენებელია **პ. გოთუა.**

**საღამოს სხდომა.** 1. საქართველოს მხედრობა. მ. პეტრე სურგულაძე.

2. წესდება და საორგანიზაციო მუშაობა. მომხსენებელია **ს. დანელია.**

3. კომიტეტის არჩევა.

ყოველი მოხსენების შემდეგ გაიმართება კამათი მიიღება რეზოლუცია.

---

დელეგატები აირჩევიან ხუთას წევრზე თითო.

ორგანიზაცია, რომელსაც ხუთასზე ნაკლები წევრი ჰყავს, გზავნის ერთ დელეგატს.

დელეგატს უნდა ჰქონდეს სათანადოთ შედგენილი მანდატი,

დელეგატის მთელ ხარჯს კისრულობს გამომგზავნი ორგანიზაცია.

**მთავარი კომიტეტი.**

---

უკანასკნელ ხანს სიას გადასინჯავენ. კორრესპონდენტებმა პროტესტი განაცხადეს. იმის გამო რომ მათი ადგილები ძალიან არის დაშორებული მთავარ მაგიდას, ამიტომ ისინი კარგათ ვერ დაინახავენ თუ რა ხდება და ანგარიშებს სწორედ ვერ შეადგენენ. პირველ რიგებში ყველაფერი კარგად სჩანს, უკანა რიგებში კი დურბინდებია საჭირო. გადაწყვეტილება, მთავარი მაგიდა მაღლა ასწიონ ფოტოგრაფებს დაუშვებენ ხოლო კინემოტოგრაფით მხოლოდ ერთ ოფიციალურ არშიას გადაიღებენ. ამას იმით ხსნიან, რომ ბევრი აპარატი წესრიგს დაარღვევს.

**გერმანიის კრონპრინცი.**

დეპეშებში ცნობა იყო, რომ ვითომ გერმანიის კრონპრინცი გაქცეულა და გერმანიაში შეუფარებია თავი. დელი-გეიდან ოფიციალურად იუწყებიან დეპეშით, რომ ჰოლანდიის შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით დანიშნულმა გამოძიებამ გამოარკვია, რომ ყოფილი კრონპრინცი კვლავინდებურად ვირენგენშია.

**ბ ა ვ ა რ ი ა.**

ბავარიის მთავრობა მცხოვრებთ სამშობლოს ერთგულებისკენ მოუწოდებს და აცხადებს, რომ გერმანიის მტრები ხელშეკრულების ზოგიერთ პირობის ცხოვრებაში გატარების დამარცხების შემდეგ უხდებიან ბავარიას სეპარატიული ხელშეკრულება წარუდგინონ ან დაიყოლიონ გერმანიისაგან გამოყოფაზე. ბავარია არას დროს არ იქნება მოღალატე და უდიდეს გაჭირვების ხანს არ მიატოვებს სამშობლოს. გერმანიის გადარჩენა შეუძლია მხოლოდ გერმანიის ყველა ტომის კავშირს.

## წერილი ქუთაისიდან

კვირას 29 თიბათვეს ალ. ლომთათიძემ წაიკითხა ლექცია: „საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველო". ლექტორმა უმთავრესად ის აზრი გაატარა რომ მიუხედავათ მძიმე მდგომარეობისა, საჭიროა დავიცვათ საქართველოს დამოუკიდებლობა როგორც დენიკინის შავი რეაქციისა ისე წითელ მანტიაში გახვეულ ვითომდა რევოლუციონერ, ნამდვილათ მავნე ელემენტების ანარქიულ გამოსვლისაგან. მაგრამ ამასთან ერთად წამოყენებულ იყო ბევრი შეუფერებელი პუნქტები: რევოლუციათა პროლეტარული წარმოშობა, უნაკლულობა მთავრობის მუშაობისა, სოციალისტური გარდაქმნის მოახლოვება, საქართველოს ოფიციალ მისიის საუცხოვო მუშაობა ევროპაში და სხ. ამ კითხვებში პასუხი გასცა ლექტორს ბ. ტ. მარგველაშვილმა, რომელმაც ის აზრი გაატარა, რომ რევოლუციები დასავლეთში და აზიაშიც წმინდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივია და არც ვიწრო სოციალური, რომ ამ რევოლუციათა დახასიათებაში მნიშვნელობა აქვს მათ მიზნებს და არა მოქმედ კატეგორიებს და პერსონებს. მანვე აღნიშნა რომ ჩრდილოეთიდან მომდინარე საფრთხის თავიდან ასაცილებლათ საჭიროა ყველა ინტელიგენტურ ძალთა მობილიზაციაც და მათი გამოყენება სახელმწიფოებრივი აღმშენებლობაში და არა ვიწრო პარტიული სულით და ინტერესით ხელმძღვანელობა საერთო ეროვნულ საქმეებში. იქვე აღინიშნა მთავარი დეფექტები ჩვენი მთავრობისა და როგორც საზღვრების დაცვაში ისე ეკონომიურ სფეროშიც.

ლექტორის პასუხიდან საინტერესო იყო ის ადგილი სადაც მან ბრძანა, აღიარა, რომ ფრიად საჭირო და სასარგებლოა ჩვენში ვაჭრობისა, მრეწველობისა და ბურჟუაზიის განვითარება რომ რუსეთის უბედურება მხოლოდ იმაშია, რომ მას არ ამოაჩნდა ეგ ძალაო.

საუბედუროთ ჩვენში ბურჟუაზია არ არის, იგი ეხლა ჩნდება მხოლოთ. ჩვენ მას არ ვებრძვით, რადგან არ შეგვიძლია ვებრძოლოთ რაც არ არისო ეს სიტყვები მთელს მის ლექციასთან შედარებით contradictio in adjecto იყო, რადგან ლექციაში მან ბევრი ილაპარაკა მუშათა კლასის ძალთა მობილიზაციის საჭიროებაზე ბურჟუაზიის და სხ. წრეების საწინააღმდეგოთ. დიდი წინააღმდეგობა იყო ამ სიტყვებისა და „ერთობის" მოწინავებსა და ყველა ს.-დემოკრატების გამოსვლებს შორის, სადაც ისინი ამ სიბრძნის წინააღმდეგ ილაშქრებენ ყოველ წუთს და ყოველს სიტყვით.

აუდიტორია განსაკუთრებით მენშევიკური იყო. მან ლექტორი ბევრჯელ დააჯილდოვა ოვაციებით, განსაკუთრებით ხანგრძლივი იყო ტაში, როცა ლექტორმა სთქვა „ევროპამ საქართველო მხოლოდ ჩვენს, სოციალისტების საშვალებით გაიცნოო". ეგ რომ ნამეტანი და აუტანელი ჰეშმარიტებაა, შეგნებულთათვის ცხადია, ხოლო „პარტიის ხალხისათვის" აფრთოვანების საგანი ყოფილა. №.

---

## მოკლე ისტორია

**თბილისის ქალაქის გამგეობისა**

(1720 წლიდან)

თბილისის გამგეობა დაარსებულ იქმნა 1720 წ. ვახტან მეფისაგან. ამისთვის თბილისის გამგეობის გარდა მანვე თბილისის მცხოვრებთაგან აირჩია 100 ოჯახზე მეტი და მათ მიანიჭა თბილისში უპირატესობა. ეს მოქალაქენი მეფეს კარის კაცთა დაუკითხავად ესტუმრებოდნენ ხოლმე თვით მეფეს.

ასეთ მოქალაქეთა ოჯახებმა დიდის პატივისცემით მიაღწიეს თვით მეფე ერეკლემდის და გიორგის XIII-მდისაც, რუსების შემოსვლის დროს, ესენი მიღებულ იქმნენ და ცნობილ თბილისის „პატონი პატიმსტვენი გრაჟდანინებად" ამათი შთამომავალნი დღესაც სცხოვრებდენ თბილისში და სარგებლობენ ამ უპირატესობით.

არავინ გაიკვირვოს და იუცხოვოს ის გარემოება, რომ თბილისში ქალაქის გამგეობა ვახტანგ მეფისაგან 1720 წელს იქმნა დაარსებული, რომ ეს საკვირველი არ იქმნეს და საეჭვო, ამიტომ ჩვენ მოვიყვანოთ კიდევ ამავ მეფის ცხოვრებიდან შემდეგ ცნობებს, რაც უექვოთ ჰყოფს ჩვენს მსჯელობას 1708 წ. თბილისში, ვახტანგ მეფემ გახსნა პირველად ქართული სტამბა და დაბეჭდა ქართული წიგნები.

1714 წ. თბილისში გახსნა „წამალხანა" ანუ აფთიაქი და განამრავლა ექიმნი.

1711 წ. გახსნა თბილისში საექიმო სკოლა.

1917 წ. დაარსებულ იქმნა ხელოსანთა ამქრები.

1718 წ. გახსნილ იქმნა განახლებით თბილისის საქალაქო სკოლები ეკლესიების გვერდით. იმ დროს თბილისში, რომ ხელოსანთა ამქარი არსებობდა, ამას აი რა ასაბუთებს:

თბილისის ანჩათის ხელოსნები და მუშები 1719 წ. სწირავენ შესწირავს ეჩმიაძინის ეკლესიის, ეს რასაკვირველია თბილისის სომხები არიან, საქმე აქ „ასნაფის" მოხსენება გახლავსთ, რაც ნიშნავს ამქარს ჩვენებურად.

სამწუხაროდ, როგორც ფიქრი არის, ეს ქალაქის გამგეობა, 1722 წ. შემდეგ, რაკი ვახტანგ მეფე რუსეთში გადასახლდა პეტრე დიდთან, 1725 წ. მოსპობილ იქმნა და ყოველივე გამქრალ. მეფე ერეკლეს გამეფების დროიდან, თბილისის გამგეობას განახლება მიეცა, იგი დაარსებულ იქმნა ვახტანგ მეფის დროის ქალაქის გამგეობის კვალად და ამ დაარსებულმა ქალაქის გამგეობამ 1760 წ. ვიდრე 1795 წ., ვიდრე აღამაჰმად-ხანი აიკლებდა თბილისს.

მეფე ერეკლე თბილისის გამგეობის დიდი მფარველი იყო, ასევე თბილისის იმ მოქალაქეებისა, რომელნიც თბილისის გამგეობასა და ქალაქსაც ემსახურებოდნენ. ასეთ მოქალაქეებს მეფე ერეკლე დიდს პატივს ანიჭებდა.

აქ მოგვყავს ცნობა მაშინდელ გამგეობის შესახებ:

მეფე ერეკლეს ბრძანებით, თბილისის გამგეობასთან დაარსებულ იქმნა სამოწყალო სახლი, საიდანაც დახმარებას აძლევდნენ თბილისის ღარიბ-ღატაკ მოქალაქეებს და ხელოსნებს, ასევე ქალაქ თბილისის ახლო მახლო მცხოვრებ ყველა ხელმოკლე მუშებს, ავადმყოფთ, დავრდომილთ და თბილისის გამგეობის „სამოწყალო" სახლის გამგემ ისე ოსტატურად დაიჭირა საქმე, თავის თანამდებობა ისე კარგად წაიყვანა, რომ მეფე ერეკლე მას დიდ პატივს აძლევდა, იგი მიიღო სანდო კაცად და ამიტომ მეფის სურვილით ესევე პირი იქმნა დანიშნული სამეფოს სამოწყალო სახლის ზედამხედველად და უფროსს გამგედ.

ეს გამგე პირი გახლდათ თბილისის ერთი მოწინავე მოქალაქეთაგანი, რომელსაც სახელად ბაბანა ერქვა, შემდეგ წლებში, ამ ბაბანას თბილისის მოქალაქეთაგან გვარადაც ბაბანა ეწოდა და მერე აქედან გადაკეთდა მათი გვარიც და ეწოდა მათ გვარად ბაბანა დღეს ბაბანასოვი. აი ამათი წინაპარი იყო მაშინდელის თბილისის გამგეობის „სამოწყალო" სახლის გამგებელი, რომელსაც მეფე ერეკლემაც მაინდო თავის სამოწყალო სახლის გამგეობა (ნაამბობი მიხ. იზმიროვისაგან).

ბაბანა თურმე მეტად [illegible] იყო, თბილისის გამგეობაშიაც ყალბად მოქმედებდა, მოქალაქეებმა ამაზედ მას ბევრჯელ უჩივლეს მეფესთან, მაგრამ მეფე ყურადღებას არ აქცევდა, რადგანაც ფიქრობდა, რომ მოქალაქენი მტრობენ ამას და სულ მტრობით სჩადიან მის დაბეზღებასაო. მაგრამ არა, ნათქვამია ქართულად: „კოკა წყაროზედ გატყდებაო", ასევე მოუვიდა ამ ბაბანასაც.

ერთ დღეს როცა ბაბანა იმყოფებოდა მეფე ერეკლეს სასახლეში. მეფეს ეახლა გაჭირვებული მათხოვარი მოქალაქე და მეფეს მოწყალება სთხოვა, მეფე დაჰპირდა მოწყალებას. სახლში მეფემ ათი თუმანი გადასცა ბაბანას და უთხრა, რომ გაატანე ეს ფული და კარზედ გლახა მათხოვარი სდგას და იმის გლახის მიეციო. ბაბანამ გაიტანა ეს ფული, გლახას ერთი მანეთი მისცა და დანარჩენი თითონ ჩაიდო ჯიბეში. გავიდა რამდენიმე დღე და ეს მათხოვარი გლახა კიდევ ეწვია მეფეს და მოწყალება სთხოვა. მეფე ერეკლემ აუწყა:

ამ ათი დღის წინად მე შენ ათი თუმანი მოგეცი და შენ დღეს კიდევ მოდიხარ, ასე მალე ფულის სათხოვნელად.

გლახა ამაზედ გაკვირდა და მეფეს მიუგო:

— ბატონო მეფეო, მე მივიღე ერთი მანეთი და არა ათი თუმანი.

ამაზედ მეფეს ჯავრი მოუვიდა. მაშინვე მოიხმო ბაბანა და ჰკითხა:

— მე ამას წინად შენ მიგეცი ათი თუმანი და გითხარი, რომ იგი უნდა მიგეცა გლახისთვის, რომელიც ჩემს მოწყალებას კარში ელოდა.

ბაბანამ მიუგო:

ბატონო მეფეო, ჩემს შვილს სახელად გლახა ეწოდება, მე მეგონა, რომ იმაზედ გადმოსაცემათ მიბოძეთ და ამიტომ ის ათი თუმანი ჩემს შვილს გლახას გადავეცი. ყალბი ბაბანა ამგვარათ გამოტყდა თავის სიყალბეში და მეფე ერეკლემაც იცნო იგი და მასთან ისიც გაიფიქრა, რომ თბილისის გამგეობის მართველთ შესახებ რომ სიყალბეს შემომჩივიან, ეს მართალი უნდა იყოსო

მართლაც მეფემ დაუწყო ყურადღების მიპყრობა და თბილისის გამგეობაში აღმოაჩინდენ სულ ბოროტები და ყალბები. სხვათა შორის, იმ დროის ქალაქის თავათ იყო კუზიანი დარჩია ბებუთაშვილი. მეფემ ამიდამ დაწყობილი ბოროტება და ქურდობა თურმე ყველას შეუტყო. აი ეს შეტყობაც როგორ მოხდა.

ქალაქის გამგეობამ ხარჯი მოუმატა თბილისის ვაჭრებს და ხელოსნებსა და მუშებსაც. ვაჭრებმა ეს მომატება ვერ აიტანეს, მიიმხრეს თვით ხელოსნები და მუშები და ერთ დღეს ამათ ქონდათ ზაბასტოვკა, ვაჭრებმა დუქნები დაკეტეს, მუშები და ხელოსნებიც დაიკავშირეს, აიყარნენ და თფილისიდამ გარდასახლების სამზადის მიეცნენ, ეს ამბავი მეფემ შეიტყო, იგი მალე მიეცა ყურადღების მიპყრობას, დაიბარა ყველა ეს ვაჭრები და ხელოსნები და ჰკითხა აყრის მიზეზი. ამათ მოახსენეს მეფეს.

ბატონო მეფევ, ქალაქის გამგეობამ ხარჯს მოგვიმატა, ჩვენ იმ ხარჯის გადახდა არ შეგვიძლიან, ამიტომ ავიყარენით, მივსდევთ დუქან-ბაზარი და მივეცით გადასახლების თავდარიგს. მეფემ მოისმინა ამათი უკმაყოფილება და უთხრა მათ შემდეგი:—თქვენ წადით, თქვენი დუქნები დახსენით, ვაჭრობა დაიწყეთ და მე გაძლევთ სიტყვას, რომ დღეიდგან თქვენ არავინ რას მოგიმატებსთ, რაც გიძლევიათ, კიდევ იმ კვალათ იხადეთ ქალაქის ხარჯები და გადასახადი.

ვაჭრები და ხელოსნები დარწმუნდენ ამაზედ ესენი თფილისში დაბრუნდენ ისევ და მიეცნენ ალებ მიცემას და მუშაობას, მართლაც მათთვის ხარჯი არავის მოუმატებია. ასე და ამ გვარათ, ჩვენ კარგათ უნდა ვიცოდეთ, რომ თფილისის გამგეობა არსებობდა XVIII საუკუნეში და არა რუსების შემოსვლის შემდეგ, როგორც ამას ფიქრობდენ ზოგიერთნი.

არის კიდევ შემდეგი გარემოებაც, რომელ გარემოებაც ისტორიულათაც არის შემოწმებული. ჩვენამდე ზეპირათ ცნობილ ქალაქის მოურავს, ქალაქ პეტს, ანუ თავს, ბევრი რამ ბოროტება ჩაუდენია მოქალაქეთა წინააღმდეგ, ეს ყოფილა კუზიანი მელიქი დარჩია ბებუთაშვილი. მოქალაქეებს მეფე ერეკლესთან უჩივლიათ ამ მოურავზედ. მეფეს გამოუძიებია მისი დანაშაული ქალაქის თავი დამნაშავეთ უცვნია და იგი მალე სამართალშიაც მიუცია, გამოძიების შემდეგ, ქალაქის თავისთვის სახელი მიუციათ და თანამდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბობიდანაც ისე გადიყვანებიათ, რომ მას თბილისის გამგეობაში შესვლა კი არა სამსახურად, მისვლაც კი აუკრძალავთ თურმე.

ასეთი სასჯელი დარჩია ბებუთოვს ძლიერ სწყენია, ამისთვის დაუწყია გოდება და მეფესთან კაცების მიგზავნა და პატიების თხოვნა, ისიც იმ პირობით, რომ დღეის შემდეგ მე ასეთ უწესოებას აღარასდროს ჩავიდენო. ასეთის დავალებით მეფესთან მიგზავნა სულ პირველ ხარისხოვანი თავადიშვილები, მაგრამ მეფემ არ შეიწყნარა.

მერე თვით მიმართა დარჩია ბებუთოვმა, მეფეს მუხლებში ჩაუვარდა და თან ერთი ქაღალდი მიართვა. ეს ქაღალდი გახლდათ ლექსათ დაწერილი მეფე ერეკლეს ქება-დიდება და თან მიმართვა მისადმი. ეს პოემა იწყება სტრიქონებით:

„მეფე ერეკლევ, ეკსტატით სრული"

და ეს პოემა ჰქონდა თავ. არსენ ბებუთოვს, რომელიც 1878 წ. ქართულ ენაზედ, კრილოვის არაკებს ბეჭდავდა, მეც იგი მაშინ გავიცანი, ეს ნაწერიც მან მიჩვენა და თან ისიც მიამბო, თუ მათი წინაპარი დარჩია ბებუთოვი როგორ და რისთვის იქმნა მეფისაგან დასჯილი.

ზ. ჭ.

(შემდეგი იქნება)

## მკითხველთან საუბარი

ადამიანის ბუნება საოცარია. მას ამოძრავებს კუჭის დაკმაყოფილების სურვილი და მე[illegible]ი არა გაეგება მას, ან და მას ყველაფერი კარგად ესმის, შემუშავებული აქვს კარგად მსოფლმხედველობა, მაგრამ ყველაფერს უპირდაპირებს თვისი ინტერესებს და რაც არ აკმაყოფილებს მისი თავმოყვარეობას, პირადობას, უნდა სრულებით მოსპოს იგი, წალეკოს. დღევანდელ უმაგალითო დროს ძლიერ მეინტერესება მსოფლიო ისტორია და ხშირად ვათვალიერებ ამა თუ იმ ერის ისტორიას. რაღა თქმა უნდა ამგვარ შემთხვევაში ყველაზე უფრო თქვენს ყურადღებას იპყრობს რომის და მეტადრე საბერძნეთის ისტორია. წარმოიდგინეთ, საბერძნეთში პერიკლესის დროსაც კი, როდესაც საბერძნეთი, უფრო ათინა საარაკოდ აყვავებული იყო, როდესაც ყოველი დარგი მეცნიერებისა, მხატვრობა, ქანდაკება და სხვა მეტად განვითარებული იყო ის, რომ უცხოელი ათინაში შესვლისას პირდაპირ გიჟდებოდა სხვა და სხვა სანახაობისაგან, მაშინაც ძლიერ ხშირი იყო ბერძნებში, რომელიმე ლტოლვილი სხვა და სხვა ადგილებიდან საბერძნეთის მშვიდობიანობას ემუქრებოდა და ხშირად სპარსელებს და სხვა ერებს წინ მოუძღოდა და მშვენიერი სამშობლოს საბერძნეთის ასაკლებლად. ჩვენს გაროულებულ ცხოვრებაში ეს ამბავი მცირედ მაიმედებს. რომ ყოველგან ყოფილან უსინდისო, სამშობლოს მტერი ადამიანები, მაგრამ უნდა აღვიაროთ, რომ ეს არაფერი იმედია, რადგაც ბავშური თავის მოტყუილებაა სხვებში თუ მოღალატენი ყოფილან, ჩვენ ამით როგორ უნდა ვინუგეშოთ თავი, როდესაც მოღალატენი ისე ბლომათ ცხოვრობენ თქვენ გვერდით, თქვენ სახლში, რომ ყოველ წამს სა[illegible]ეში გაყენებენ. დიდი ხანი არის, რაც ტერტერებიც კი გაკადნიერდნენ და ტყვის მტყორცნელებიც კი გაიჩინეს სახლში. ამ ცოტა ხნის წინად დენიკინის საშინროებამაც კი წამოყო თავი დიდის იმედით აღივსო გული ჩვენში მცხოვრებ სომხების და რუსებისა, ერთი მეორეს ულოცავდნენ. ჩვენი ქვეყანა ყოველთვის ინიღავდა სხვა ერებს და უნდოდათ მათ მისი დაპყრობა. ეს სურვილი დღესაც აქვს ბევრს და არ გამიკვირდება, რომ რუსები, სომხები გვღალატობენ, მაგრამ რისთვის გვღალატობენ ქართველები, ეს ჩემთვის გაუგებარია. აქ რაღაც დიდი გაუგებრობაა და შეიძლება ამ გაუგებრობას იქნება რამე მალამო დაედოს, რამე ეშველოს. ერთი ჩემი მეგობარი ქართველი მიმტკიცებდა, როცა სომხებზე გვქონდა საუბარი, რომ იმედია მათი გამობრუნებაო! სომხების გამობრუნების იმედი, საუბედუროდ სამუდამოდ დავკარგე; იმის გამოკვლევა, რაც საკუთნოების შედეგია, ასე ადვილი არ არის, მაგრამ ჩემი ნაცნობი მოხუცის აზრმა მე ჩამაფიქრა. ჯერ თვალწინ წარმომიდგა ქართველი კაცის გულკეთილობა და ლმობიერება, მერმე მეტად საჭირო თავიანთ ლმობიერება და გულკეთილობა ზოგი ჩვენი გზას აცდარი მოღალატესათვის, რომელსაც შეიძლება ბა ცოტაოდენი მიზეზი ჩვენვე მივეცით. თუ ჩვენ ვერავითარი ლმობიერობით გულკეთილობით ვერ მივიმხრობთ სომხებს, რუსებს, ვერ მოვაშლევინებთ მოღალატეობას, თუ მათ შესაფერისი ჟამი დაუდგებათ, ადვილათ შესაძლებელია მოღალატე ქართველის გული მივალბოთ და გზაზე დავაყენოთ, თუ მართლა შეშლილი არ არის იგი და ჩვენც შესაფერისს ღონეს ვიღონებთ.

უგნურის გარდაქმნა ძნელია, მარტო კუჭის დაკმაყოფილება თუ არის ერთად ერთი მიზანი ადამიანის, ძნელია ამისი გამობრუნება, გაადამიანება, მაგრამ ხანდისხან არის ცოტაოდნათ მაინც გამამართლებელი პირობები. რევოლიუცია რთულია თავისი ბევრი ცუდი და ბევრი კარგი შედეგებით. ამას წინად ერთი ქართველი ინტელიგენტი გადაიცვალა ქუთაისში, დარჩა მას ქვრივი ქალი, ორი პატარა ვაჟიშვილი. დედამ ვერავითარი ადგილი ვერ იშოვნა, გაჭირვებამ პატარა ვაჟები ქუთაისის ვაგზლამდის მოიყვანა და დააწყებინა მათ მგზავრების ბარგების ზიდვა და ამგვარათ დედასაც და თავის თავსაც ბავშვებმა ლუკმა პური გაუჩინეს. მაგრამ ამ მილიციონერებს ეს არ მოეწონა და ბავშვებს არ უშვებდენ სადგურამდის და ამით ისინი უსაქმო ქუთაისში საშინო მდგომარეობაში ჩააგდეს. მე არ ვიცი მათი თავგადასავალი, მაგრამ მშვენიერი ბავშვებისათვის შიმშილმა შეიძლება დაამზადოს ნიადაგი ჯიბგირობისათვის და მოღალატეობისათვისაც კი. ქურდს ქურდობამდე ნუ მიიყვან, თორემ ცოტაოდენი დანაშაულობა შენც გექნება. რევოლიუციის დასაწყისშივე საჭიროდ დაინახეს მხოლოდ პარტიის კაცების ჩაყენება სამსახურში, მიუხედავად იმისა შესძლებდენ თუ არა ისინი დაკისრულ მოვალეობის შესრულებას და ხშირად მცოდნე და პატიოსან ადამიანს უარს ეუბნებოდენ—არ ეკუთვნი ჩვენს პარტიასო. ნიკოლოზის დროს ებრაელებს მაღალ სასწავლებლებში არ იღებდენ თუ არ მოინათლებოდენ; გახშირდა ებრაელების ქრისტიანად მონათვლა, მაგრამ ყველანი ებრაელებად რჩებოდენ. მოიგონეთ ჰაინრის ჰაინე. იმანაც უფრო ნაკლები ძალდატანებით მიიღო ქრისტიანობა, მაგრამ ეს არ უშლიდა მას გულუხვად ეობუნჯა, როგორც იუდეიზმის გამო, ისე ქრისტიანობის და ბოლოს კი გადაცვალების დროს დაჟინებით მოითხოვა ეცნოთ იგი ებრაელად და წიაღს აბრაამისა განისვენა. ამ გვარათვე ბევრმა ავაზაკმაც კი მოისურვეს სოციალდემოკრატის სახელით მოენათლათ თავი, ოღონდ კი რამე მსუქანი ადგილი ჩაეგდოთ ხელში. თავიდანვე ეტყობოდა, რომ ჩვენი მხედრობის საქმე ცუდად იყო და ბევრი მათგანი უადგილოთ რჩებოდა. ზოგი მათგანი გვარით იყვენ მხოლოდ ქართველები, თორემ სულით და გულით ნამდვილი რუსაკები იყვენ რადგან დედები რუსის ქალები იყვენ და იწყენ დენა ალექსეევის და დენიკინისაკენ, ზოგი მათგანი აქავე მსახურებენ და ეჭვი არ გვაქვს, რომ პირველი შემთხვევით ისარგებლებენ, რომ თოფი მოგვილირონ გულში. ნამდვილი ქართველები კი დარჩნენ უადგილოთ და უმიწაწყლოთ და ვერ გაუძლენ ცხოვრებისათვის ბრძოლას, ვერ შექმნეს სხვა რამე მარჩენალი საქმე და სხვა საპარცხვინო საქმეს, დენიკინის სამსახური ამჯობინეს. ეს დიდი უსვინიდისობაა, დიდი გაუგებრობა, მაგრამ გაჭირვება ბევრს ცუდს ჩაადენინებს ადამიანს, მაგრამ სულის და გულის შემზარავია გენერალი ნათიშვილის საქციელი საქმეები ბათომში რაზმს რომ უმზადებდა დენიკინს, მაგრამ მივიღეთ რამე ზომები, რომ ამგვარი ადამიანები არ გადაეღობონენ ჩვენი თავისუფლების საქმეს". ამავე დროს მოღალატეებს დაუძინებელ მტრებს მრავალი პასუხის საგებელი ადგილი უჭირავთ და დროს მოელიან კარგად გაშალონ ფრთა ჩვენდა საწინააღმდეგოთ, დღეს არავინ არ ზრუნავს მეფის ტახტის აღდგენაზე უფრო ზრუნავს იმაზე, რომ უზრუნველჰყონ თავის თავი დიდად სასურველია, რომ მთავრობამ შექმნას იმისთანა პირობები, რომ უმეშვეარი ძლიერ ცოტა იყვეს გენერალი იქმნება თუ სხვა ვინმე მოქალაქე, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ჩვენი დაუძინებელი მტრები უზრუნველყოფილი იყვენ კარგი ადგილებით და თავისები კი ლუკმის ანაბარათ იყვენ.

ე. ვაშაკიძე.

## ტფილისის ჯარისკაცთა უნივერსიტეტი

ქალაქ ტფილისში მყოფ ჯარისკაცთათვის დაარსდა უნივერსიტეტი, რომლის მიზანია ჯარში შეიტანოს სწავლა განათლება და ამით ხელი შეუწყოს მათ გონივრულ განვითარებას.

ვინაიდან ქ. ტფილისში ბევრი ჯარის ნაწილებია და ისინი სცხოვრობენ ქალაქის სხვა და სხვა უბნებში, შეუძლებელი ხდება ამნაირი უნივერსიტეტის მხოლოდ ერთ ადგილას არსებობა, აი, ამიტომ სხვა და სხვა უბნებში გაიხსნება რამოდენიმე უნივერსიტეტი.

ჯარისკაცთა უნივერსიტეტი იქნება დაყოფილი შემდეგ რაიონებად: 1 რაიონი: შუაგულ ქალაქში მდგომი ნაწილები (შოთა რუსთაველის ქუჩა) და ახლო მახლო, სამხედრო სამინისტრო სტამბა და სხვა...

2 რაიონი: ავლაბარი (ავლაბარში მდგომ ნაწილები)

3 რაიონი: არსენალი და რკინის გზის ლიანდაგზე მდგომი ჯარის ნაწილები.

4 რაიონი: ნავთლუღში მყოფ ჯარის ნაწილები.

პირველი რაიონის ლექციები შესდგება სანაპირო ჯარების შტაბის ეზოში (ბროსეს ქ.)

მეორე რაიონის ლექციები შესდგება ხოლმე მეხუთე რაზმის შენობაში (მინგრელსკის ყაზარმაში).

მესამე რაიონის ლექციები შესდგება ხოლმე არსენალში.

მეოთხე რაიონის ლექციები შესდგება ნავთლუღის პირველ ცხენოსან რაზმის ყაზარმაში (ყოფილი ნიჟეგოროდის ყაზარმა).

1. ლექციის ადგილი, თემა და ლექტორის ვინაობა წინასწარ იქნება გამოცხადებული გაზეთების ქრონიკაში,
2. ჯარის-კაცნი მოვალენი არიან სისტემატიურად იარონ ხოლმე ლექციებზე, ამის ასრულებას ყურს უგდებენ ჯარის ნაწილების უფროსები.
3. ყველა ნაწილებში შესდგება სია იმ ჯარის კაცების, რომელიც იქნებიან მუდმივი მსმენელნი უნივერსიტეტისა.
4. ლექციების წაკითხვის დრო და ნაწილი წინასწარ ეცნობებათ ჯარის ნაწილების უფროსებს.
5. ლექციები წაიკითხება შეძლების დაგვარად ბუნდოვანი სურათების საშუალებით, რომელიც უფრო დააინტერესებს ჯარის კაცებს.

# ერობა

## ტფილისის სამაზრო ერობაში.

**შემოსავალ გასავლის ვარაუდის დამტკიცება.**

ტფილისის მაზრის ერობამ მიიღო და დაამტკიცა სხვა და სხვა განყოფილებათა შემოსავალ-გასავლის ვარაუდი 1919 წლის 1 ივნისიდან 1920 წლის 1 ივნისამდე.

**სტატისტიკურ განყოფილების ხარჯების ვარაუდი.**

კონსულტანტს წლიურ ჯამაგირად 14,400 მ., გამგეს 22,800 მან., ინსტრუქტორს 4,400 მ., მუდმივ მოანგარიშეს 22,000 მან. საჭიროების და მიხედვით დროებით მოანგარიშეთ მოსაწვევთ საჭირო თანხა 24,000 მ., სამგ. სამდივნო და სასტამბო ხარჯები 25,000 მან. სულ 136,600 მან.

უძრავ ქონებათა და სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა შეფასებისათვის საჭირო ცნობების შესაკრებათ, საერთო რიცხვი უძრავ ქონებათა და სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა დაახლოვებით უდრის 1,800 მანეთს თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ საშუალო რეგისტრატორი დღეში ხუთ დაწესებულებას აღსწერს, საჭირო იქნება ერთი რეგისტრატორის 360 დღე მუშაობა, ან ერთი მეორეზე ერთი კაცის 15 თვის მუშაობა. თუ რეგისტრატორს თვიურ ჯილდოდ 1,000 მან. დაენიშნება აღნიშნულ დაწესებულებათა და ქონებათა აღწერა მოითხოვს 15,000 მან, მთელი მასალის დამუშავება ჯდება დაახლოვებით 4760 მან., მოულოდნელი ხარჯები 10240 მან. სულ 30,000 მან. საერთო ჯამი განყოფილების ხარჯებისა იქნება 166,600 მან.

**სავეტერინარო-სანიტარული განყოფილების შემოსავალ გასავლის ვარაუდი.**

განყოფილების გამგე ექიმის ჯამაგირი 22,800 მან.; ოთხი ექიმის ჯამაგირი 31,600 მ.; ფერშლების ჯამაგირი—57,600 მან. ექიმების და ფერშლების მისვლა-მოსვლისა და დღიური ხარჯები—33,600 მან. ტფილისის მაზრაში ოთხ ალაგას სავეტერინარო ამბულატორიების მოსაწყობათ; ა) ...ნობის ქირა—9600 მან.; ბ) წამლებისა და აფთიაქების მოსაწყობი ხარჯები—48,000 მან.; გ) გათბობა განათება და სხ.—12,000 მ.; დ) ამბულატორიის მოსამსახურეთა ჯამაგირი წლიურათ 33,000 მან. სამდივნო მწიგნობრის მოულოდნელი ხარჯები 4,800 მან.; პოპულიარული ლექციების მოწყობა მეურნეობასა და სხვა და სხვა დარგზე და სახალხო ბროშურების გამოცემა—3,000 მ. დახმარე... ქუთაისის საქონლის ჭირის საწინააღმდეგო შრატის დამზადებულ სადგურ... ავანსის სახით—50,000 მანეთი. ადგილობრივ საქონლის ჯიშის გასაუმჯობესებლათ მისალებ ზომებისთვის (ჯი... ჯირობით შესწავლა ადგილობრივ ჯ... შებისა მთაში და ბარში)—10,000 ... ჯამი—368,600 მან. საქონლის ჭირის საწინააღმდეგო ბრძოლის ხარჯებ... ასანაზღაურებლათ ნავარაუდევია შე...დეგი შემოსავალი; ა) შრატის ღირ...ბულება—50,000 მან.) შრატის ღირებულების 20 პრ. (ხარჯებისათვის) 10,000 მანეთი. სულ გამოსავალი 60,000 მან.

## ბორჩალოს სამაზ. ერობა.

**ბორჩალოს მაზრის ერობის ხმოსნ...ბათ არჩეულ იქნენ შულავერის რაიონში.**

სია № 1 ს. ს-დ. მ. პ. პოპონდო... პულო ნიკოლოზ საევას ძე, ჩატულო...ვი ნიკოლოზ აბრამის ძე, ჰუსეინ... ბაირამ ყული-ოღლი, ჩატინოვი მის...კა სიაონის ძე, ზაქალაშვილი პეტრე თეოდორეს ძე.

**ბორჩალოს რაიონი.**

სია № 1 ს. ს.-დ. მ. პ. შარიფოვ... აბდულ აზიზ, მამედი-პადჟა-ოღლ... მოლლა ახმედა ადჯი ოღლი, გუსე...ნი ვექილოვი.

სია № 2. მაშადი ბალი ასლა...ოღლი.

**ეკატერინეფელდის რაიონი.**

სია № 1 ს. ს.-დ. მ. პ. რამიშვილ... რაფიელი გიორგის ძე, ყიმირლე ერ...სტი იაკობის ძე, ყურბანა გასან-ოღ...ლი, მოლლა ისა მოლლანესიბ-ოღლი.

№ 2 კოლონიელთა სოციალის... ჯგუფისა. მეიერი ფრიდრიხი ლიუდ...ვიგის ძე, კრომერი ედუარდი ივანე... ძე.

**ბაშკიჩეთის რაიონი.**

ბარტყულაშვილი გიორგი ზაქარია... ძე, გიურდჟიევი თიმოთე ტრაფონ... ძე, პირ-მამედა ოჩიევი, კორნიელ... ალექსანდრე კონსტანტინეს ძე, სელი...მაშვილი საბა გიორგის ძე.

**წალკის რაიონი.**

სია № 1: შარიფოვი აღა ბექ... ოღლი.

სია № 2 უპარტიოთა. ფარმარანცი ამიაკი ოვაკიმეს ძე.

სია № 3 ს. რ. პარტია. აკრიტასი პანაიოტი გიორგის ძე, შახბაზოვი კირიაკი ივანეს ძე, გუბასაროვი, ფილოსი აკოფის ძე, ფილაგოვი ევსტაფი ვასილის ძე, ცანდეკოვი პავლე აპოსტოლის ძე.

სია № 4 უპარტიოთა. ჩაგულოვი ნიკოლოზი, ფეოფილაქტეს. პეტროსოვი ვასილი გავრილის ძე, იოანრდი პეტრე ანასტასის ძე.

პირველი ერობის ხმოსანთა ყრილობა დანიშნულია კოლ-ეკატერინოფელდში 95 ივლისს.

## ტრფობა წამებული

(ისტორიული რომანი)

54.

დედოფალმა რომ ისე ადვილად დართო ნება, შუქურისათვის ჩაებარებინათ სეფე ჭურჭლის მეთვალყურეობა და დაებინავებინათ იგი სასახლეში, ამისი საკმაო მიზეზი ჰქონდა მას: გრძნობდა, მეფე და კარისკაცნი ბოლოს მაინც თავისას გაიტანდნენ, ქალს სასახლეში ამოიყვანდნენ და ნებით ჩაყოლა ირჩია. მსახურად მიუჩინა იგი ციხე-დარბაზი თავის მოახლედ თუ გოგოთ დააყენა და ეს დამდაბლება მეტოქისა თითქო ჰკრს უქარვებდა ულონო-ქმნილ მანდილოსანს. თვით მეფის კავშირსაც ამდაბლებდა ეს, ყოველგვარ პატივსა სხნიდა მის სატრფოს, ამცირებდა: მოახლესთან მეფის კავშირი საკილველი იყო და საძრახისი. დედოფალი შემთხვევასაც პოულობდა უკეთ დაეფარა თავისი შეურაცხყოფა ხალხის თვალთაგან, თან ყურიც ედევნებინა ამ უგვან და უკეთურ კავშირის მსვლელობისა თუ განვითარებისათვის.

ესე ამართლებდა გურანდუხტ თავის იძულებითი საქციელს. იქნება გულში სხვა რამ აზრიც ედვა შეურაცხყოფილს, გესლიანი ფიქრი შურით მოწამლული გულის სიღრმეში. რატომ?! მახლობლად დაბინავებულ მტრის მოსპობაც უფრო ადვილი იქმნებოდა, ყოველ ჟამს მის ხელში მყოფ დუშმანის უჩუმრად განადგურება. ესეთი ჰაზრებიც მოსვლოდა დედოფალს სიბოროტეთა აზვირთების დროს, მაგრამ ამ განზრახვებს გულის სიღრმეში იმარხავდა ის, სულის ბნელი რამ ჯურღმულში: მორწმუნე ადამიანი იყო, ხოლო ესეთს სურვილებს არაფერი საერთო არა ჰქონდა სათნოებასთან, არც ყოვლადსახიერ მოძღვრის ლმობიერ მცნებასთან. ამისთვინა ჰფარავდა თავის განზრახვებს.

ეკლითი იყო დედოფლის გულისთქმა იმ დასტურის დროს. მეფემ ეს არ იცოდა; არც საჭირო იყო ან სცოდნოდა ეს დაფიქრებულიყო ამაზედ. არც ეცალა ალტაცებულს ვაჟკაცს დინჯ და მოფიქრებულ მოქმედებისთვის. აღგზნებული იყო მისი სურვილი, ალავარდნილი; მისი ნდომა ცეცხლის დაშნად გარდაქმნილიყო, მახვილად იქცევისა და ჰბრუნავდა იგი პასრი დამწველი ძლიერ ხელში, რომ გული გაეპო ცეცხლის ფხით მისთვის, ვინც ეწინააღმდეგებოდა ამ უძლეველ სწრაფას, ყველასათვის, შორეულთა თუ მახლობელთათვის; ვინც კი გაჰბედავდა გადაეღობებოდა მის სურვილს ალტყინებულს. როცა ახარეს ამბავი, დედოფალი დათანხმდა და ბრძანა ცნობაში მოეყვანათ ყოველივე სასუფრო განძეულობა ძვირფასი რომ მიეთვალათ იგი ახალ გამგესათვის, უცნაურად დამშვიდდა ცეცხლმოდებული დაწყნარდა, გული გაეღო, ლოლიმარე რამ სიმშვიდე განიცადა მისმა სულმა. ისეთი მადლობა იგრძნო მეუღლისადმი, რომ მაშინვე წავიდოდა და სახეს გარდუკოცნიდა ღვთისნიერს, თუ ალღოთი არ მიმხვდარიყო, ქალისათვის აუტანელი იქნებოდა ეხლა მისი დანახვაც კი, არამც თუ მისი მოცინარე კმაყოფილება, ჭაბუკური ალტაცება აფერადებული. სასტიკი ზნეობის ადამიანი ვერ მიჰხვდებოდა ცოდვათა სიტკბოებას რომელს ესე სასიამოდ მოეშხამა ვაჟკაცის გული მტკიცედ ნაკვერი, დაელბო, დაეძაბუნებინა. მხოლოდ უსამზღვრო ზიზღს გამოიწვევდა ეხლა მასში კაცის უხამსი კმაყოფილება.

ვერც მიჰხვდა ამას გურანდუხტი ვერასოდეს, ცივი გონებითაც კი ვერ შეიგნო ის, რომ მის გვერდზედ მის მეუღლე ვაჟკაცისათვის შეიძლებოდა გარდაშლილიყო მეორე სიყვარული პირველყოფილი, აღგზნებული გრძნობა მისთვის სამარადისო. შური აბორგებდა დედოფალს, შეურაცხყოფილი თავმოყვარეობა შანთად უვლიდა მის გულს, ხოლო ბოროტად მღელვარე გრძნობები თვის ტალღებს აჩქეფებდნენ ფიქრთა სხივებს და ანელებდნენ მათ ელვარებას, მათ ძალას; მოლოდაც აქრობდნენ მათ. და იზრდებოდა უარყოფილ მეუღლის გულში ზიზღი მოძულისადმი, მტრობა სიძულვილი მეძავისადმი. ბევრჯერ ისეთს გუნებაზედა დგებოდა დედოფალი, მზა იყო მოესპო ორივეს სიცოცხლე, სიკვდილის წინ კიდეც ეწამებინა შეყვარებულნი.

— მოვსპობ, არ ვამყოფებ ამ ალქს, ჩემდა დასამცირებლად თვით ჯოჯოხეთიდან ამოვლინებულს. ამოვფხვრი მასაც, ვინც სული მიჰყიდა ამ ეშმაკს ბილწსა, ოღონდ კი განეცადა წუთიერი სიამე მასთან სიახლისა. მოვწამლავ ორივეს! ღირსნი არიან ამ სასჯელისა ღვთის მცნების გამტეხნი, სხვის ბედის ნაოხარზედ იღბლიანად დამკვიდრებულნი! ამბობდა დედოფალი.

თითონვე კი გრძნობდა, რომ ამ სურვილის შესასრულებლად ძალა არ შესწევდა მას: ამგვარ ბოროტ ნდობის განსასახებლად თანამოაზრე უნდა ჰყოლოდა მას მისანდობელი, მოკავშირე უდრეკ უტეხი, ხოლო ამისთანა ჯერ არავინ მოსჩანდა მის გარშემო. კვლავ იგვემებოდა ბოროტად მღელვარე გრძნობებით სავსე. დედოფალმა ღრმა ტანჯვა განიცადა ამ ხანში ცეცხლებრივ მწველი და დარწმუნდა, რომ გამჩენელს ოდესმე ამ ქვეყნად დაერგო არა მხოლოდ წალკოტი ყვავილოვანი, არამედ ჯოჯოხეთიც ბნელი, ალმურით გარემოცული, სულით ხორცამდინ სატკივად მწველი.

— თუ ღვთის განგებით ედემი ხილული არარად ქმნილა, ჯოჯოხეთის ნაშთი კი ისევ დაუტოვებია მას ამ ქვეყნად, მეფის სასახლეში, ზედ ჩემს კერაზედ!

უცვლელად სწვავდა დედოფალს იგი ქვეყნიური ჯოჯოხეთი, სევდის კვამლით სუნთქვას უხუთავდა, მშრალი ცრემლებით თვალებს ჰბუგავდა, როგორც აელვარებული შანთებით, ბოლმის მარწუხით ხორცებს ჰგლეჯავდა; შურის გველად დაცურავდა მოძულებულის ნაბაზებ ტანზედ, გესლს უწვეთებდა გრძნობათა ფიალაში, არა ტკბილ შხამს ცნობის მომპარავს, არამედ ძიმწარედ უმწარეს გესლს მაფხიზლებელს, თვითცნობის ბოროტად განმანათებელს. მარად ჟამს იტანჯებოდა დედოფალი სიცოცხლის მგმობელი, გარნა სევდა უნელებელი სიკვდილად არ მიჰხრიდა წამებულს, იგი მხოლოდ უმატკეცებდა მას ყოფას გამწარებულს, დაუსრულებლად ჰხდიდა მოძაგებულ მის არსებობას: ჯავრი უნელებელი წუთს ჟამად ჰქმნიდა, ჟამს დღე-ღამედ, დღე-ღამეს კვირად თუ თვედ, წელიწადს საუკუნედ.

— განვიცდი, მეუფეო, წამებას დაუსრულებელს ამავე ქვეყნად; ვერღა მიხილავს ნათელი პირისა შენისა მამშვიდებელი; ბნელი ბოროტი შემიპყრა გულსა ჩემსა და მოაშთო სული ჩემი უბადრუკი; ეკლით მოიფინა გზა ცხოვრებისა ჩემისა. მომხედე მე, მხევალსა შენსა, მიხსენ ტანჯვისაგან აუტანელისა, განმარინე მოწევნილსა ჩემდა ბოროტსა, სახიერო! ევედრებოდა დედოფალი.

მაგრამ სახიერს გარეშექცია მისგან სახე თვისი ნათელმოსილი, არღა უსმენდა ღმერთი კაცთაგან უარყოფილს თუ დავიწყებულს. და გრძნობდა დედოფალი ობლობას მწარეს ქმარ შვილში, ურიცხვ ყმათა თუ მხევალთა შორის; განიცდიდა დამცირებას უამრავ ქვეშევრდომთა თაყვანისცემის დროს; იგემებდა ლუკმის სიმწარეს რჩეულ სანოვაგით სავსე სუფრაზედ მგზარით თუ მტკბარით თვალმოწყენილი. ის უფრო ულრმავებდა მას ვაებას, რომ მისი ქენჯვა უხილავი იყო სხვისათვის, შეუგნებელ—წარმოუდგენელი.

— რა შეგცოდე, მეუფეო ჩემო, რად უგულებელ ჰყოფ მხევალსა შენსა?! განვერიდე შენგან, აღარვინ მივის ნუგეშ ჩემდა, ხელის ამპყრობელი.

უსასოქმნილი მოიღვედებოდა იგი ერთს ჟამს, ჩაიკვეცებოდა, დამდაბლდებოდა მიწამდის, არარად იქცეოდა არსება მისი.

— მღილი ვარ უმნიშვნელო, მტვერი მლოლავი; არა ადამიანი, შეურაცხყოფა ადამიანთა!

ხოლო მეორე ჟამს გაუფიცხდებოდა ნებისყოფა, მშფოთავ გულისწყრომამ აღეგზნებოდა ბუნება და ამოიღებდა პირალმას მახვილს; რომ თავისი ხელით ამოეგლიჯა თავის მეტოქისათვის გული ლბილი ვაჟკაცთ მხილავი, დაეთხარა მოღალატე კაცისათვის მაცთუნებელი თვალები, რომელნი შუქურის სახიდან, მის მთელ ტანიდან ჰკრეფავდნენ სიმშვენიერის ტკბილ ფერფლს გამჭვირვალს, მათ რომელ ნექტარით შეზავებულს, და პკრობდნენ ვაჟკაცის გულსა, მაგრამ ეს ბოროტი ღელვა მაინც იყო თვისთავად ეგზომ მტკიცე, რომ შესძლებოდა სრულექმნა დანაპირი და ერთის დაკვრით მოესპო ძირი თავისის მუდმივი სატანჯველისა. ხვა უნდოდა ლონემიხდილს ყოლაუზი და მაჯის განმამტკიცებელი. ჯერ არსით არ სჩანდა თანამგრძნობი და მშველელი: მარტო იყო დედოფალი თავის ტანჯვის ჯირისპირ, მთლად განმარტოებული და უმწეო.

ვასილ ბარნოვი.

(შემდეგი იქნება)

იბეჭდება:

თამუნა

წიგნი 1.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა

გ. გ. მებრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის-ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი, სარენტგენო და [illegible] კით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9–1 საათამდე და საღამოს 5–8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 4–17–92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის

ალექსანდრე დავითის ძის

[illegible]

იღებს კანის, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"ს პირდაპირ. ტელეფონი 14–28.